ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ზუგდიდის გამგებლის მოადგილე
თამაზ ჟორჟოლიანი ავარიაში დაიღუპა

გვ.3

31 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზანი ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

პარასკევი, 3 ნოემბერი, 2017 №261 (7495) ფასი: 50 თეთრი

„ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან საბოლოოდ წავიდა“

გვ.3

„მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლა შულავერის კომიტეტს გააააქტიურებს“

ზაალ კასრელიშვილი: „ოპოზიციამ ამ არჩევნებზე შანსი ხელიდან გაუშვა“

შალვა შავგულიძე: „წაყენებული ბრალდებით სააკაშვილის ექსტრადიცია არ მოხდება“

გვ.2

„მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლაზე მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“

მამუკა ტუსკაძე: „ვანო მერაბიშვილის ვადამდე გათავისუფლებას ხმას არ მივცემ“

გვ.4

გია ხუხაშვილი: „ეს ზამთარი წინაზე მძიმე იქნება“

გვ.6

„ლარის კურსის სტაბილურობას გამოიწვევდა მხოლოდ ის, რომ ჩვენთან შემოდიოდეს სტაბილურად იმდენივე დოლარი, რამდენიც გაედინება“

მოითხოვს თუ არა რუსეთის საპატრიარქო ახალი ათონის გადაცემას

გვ.2

გვ.5

ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის გაცვლითი კურსის მდგრად დასტაბილურებას იანვრის მეორე ნახევარში ვვარაუდობ“

სამართალი გვ.7



მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადირების პროცედურა შეიძლება 1 წელი გაგრძელდეს

კანიბალიზმის საქმე – 7 წელი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის



საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წინააღმდეგ მოქალაქის კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განიხილავს

ეკონომიკა გვ.6

ეროვნული ბანკი: „ლარის გაუფასურება დროებითია“

მაგთიმ ტელევიზიის პაკეტი გააძვირა

აკაკი ზოიძე: „ახალი კანონი მედიკამენტების რეგისტრაციას გააუმჯობესებს“

ISSN 1987-9385

3 „საქართველოში ბიუროკრატია თვიდან თვემდე იზრდება“

4 „მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ წლის ბოლოს ლარი გაუფასურდება“

5 საიტები, რომლებიც მოქალაქეებს მცირე თანხის სანაცვლოდ მაღალ მოგებას სთავაზობენ

4 აიეტ კუკავა: „დღეს ძირითადი თანხები საბანკო სექტორშია მოქცეული, რაც ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია“

შალვა შავგულიძე: „წაყენებული ბრალდებით სააკაშვილის ექსტრადიცია არ მოხდება“

„მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლაზე მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე, იურისტი **შალვა შავგულიძე**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილსა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების ექსტრადიციაზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, ვანო მერაბიშვილი ნოემბრის ბოლოს შესაძლებელია საპატიმროდან გათავისუფლდეს. სტრასბურის სასამართლო იხილავს მერაბიშვილის საქმეს და გადაწყვეტილება ნოემბრის ბოლოს გახდება ცნობილი. მისი თანაგუნდელები ამბობენ, რომ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება შესაძლებელია ხელისუფლებისთვის ერთგვარი გამოსავალი იყოს. რატომ?

– ეს მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. სიმართლე გითხრათ, საქმის მასალებს არ ვიცნობ და კონკრეტულად ვერ გეტყვით, რა ბრალდებით იხდის სასჯელს მერაბიშვილი, შეიძლება რამდენიმე ბრალდებაც იყო ერთად შეკრებილი. არ ვიცი, რამდენად ეხება ვადამდე პირობით გათავისუფლება, მაგრამ ზოგადად რაც შეეხება ამ პროცესს, რომელიც ეხებოდა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის ბრალდების წაყენებას, შემდეგ უკვე სამართალწარმოებას, მთელ ამ პროცესზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ეს არ იყო სათანადოდ წარმოებული საქმეები.

– არ არის გამორიცხული, რომ ვანო მერაბიშვილმა პოლიტიკური კარიერა გააგრძელოს. წინასწარი განცხადებებიც კეთდება, თუ რომელ პარტიაში შეიძლება გააგრძელოს მან პოლიტიკური კარიერა. ამდენად, შეიძლება ოპოზიციაში მყოფი მერაბიშვილი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულიც ვიხილოთ.

– თუ კანონი მისცემს ამის საშუალებას და თუ ექნება სურვილი, ვერავინ აუკრძალავს პოლიტიკურ აქტივობას. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი.

– ამ შემთხვევაში, როგორც ადვოკატს გეკითხებით, რამდენად ძლიერი იყო სახელმწიფო ბრალდება, როდესაც ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების საქმეები იხილებოდა?

– ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რაც ხელისგულზე დევს, არის ის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერცერთ სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმეზე ვერ მოახერხა კვალიფიციური და სრულყოფილი გამოძიებისა და სასამართლო განხილვების ჩატარება. ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ არცერთი ექსტრადიციის მოთხოვნა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან არ იქნა დაკმაყოფილებული არცერთი ქვეყნის მხრიდან.

– რა არის ამის მიზეზი, რაზე მიანიშნებს ეს?

– ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ან არ არის საკმარისი კვალიფიკაცია ან პოლიტიკური ნება არ არის მიმართული, რომ სამართალწარმოება ობიექტურად და კანონიერად იყოს წარმართული. ან პროკურატურას არ ჰყოფნის კვალიფიკაცია, ან პროკურატურა ექვემდებარება მმართველი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“, პოლიტიკურ ნებას, რომ ეს საქმეები სრულფასოვნად არ იყოს გამოძიებული და შესაბამისი პირები გადმოცემული.

– მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილე მამუკა ვასაძემ განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, რომ ჩვენი პარტნიორი უკრაინა ითანამშრომლებს საქართველოს პროკურატურასთან და ექსტრადირების მოთხოვნა დაკმაყოფილდება. თქვენ რამდენად ელოდებით ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას?

– ბატონ პროკურორს იმის მოლოდინი კი არ უნდა ჰქონდეს, რომ ის ქვეყანა, სადაც გაგზავნილია ექსტრადიციის მოთხოვნა, საქართველოსთან ითანამშრომლებს. თანამშრომლობით ასეთი საკითხები არ წყდება. ასევე ეს საკითხი პოლიტიკით არ წყდება. არაფერ შუაში არ არის ექსტრადიციის დაკმაყოფილებასთან თანამშრომლობა. პროკურორის მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება სრულიად მიუღებელია, არასწორია. ქვეყანამ კი არ უნდა ითანამშრომლოს, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა გააგზავნოს, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან. თუ ექსტრადიციის მოთხოვნა მყარია, ის აუცილებლად დაკმაყოფილდება.

– საკაკაშვილი ამბობს, რომ უკრაინაში მისი ექსტრადიციის პროცესი დაიწყო. ექსპერტები ამბობენ, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ აწყობს საკაკაშვილის გადმოცემა, მით უფრო – ციხეში მისი ჩასმა. როგორ ფიქრობთ, მოხდება მისი გადმოცემა?

– ნამდვილად ვერ გეტყვით, მოხდება საკაკაშვილის ექსტრადიცია თუ არა, რამდენად საფუძვლიანია ის ბრალდება, რაც საკაკაშვილის მიმართ არის წარდგენილი. როგორც ვიცი, ბრალდება ეხება საბიუჯეტო თანხების ზედმეტად გახარჯვას ტანსაცმელზე, წვეულებებზე, სხვა საჭიროებებზე. თუ მთელი ბრალდება ეს არის, მაშინ, რასაკვირველია, არავითარი ექსტრადიცია არ იქნება. თუ საქმე სერიოზულ ბრალთან გვაქვს და ეს იქნება შესაბამისად დასაბუთებული, მაშინ პირი გადმოცემას უნდა დაექვემდებაროს. თუმცა, ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

მოითხოვს თუ არა რუსეთის საპატრიარქო ახალი ათონის გადაცემას

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოს საპატრიარქოს გარშემო შესაძლოა ახალი სკანდალი აგორდეს. სკანდალი ამჯერად იმ ერთობლივი კომისიის გარშემო აგორდება, რომლის შექმნასაც საქართველოს საპატრიარქო რუსეთის საპატრიარქოსთან ერთად აპირებს. ერთობლივმა ჯგუფმა ოკუპირებულ აფხაზეთში ახალი ათონის გარშემო არსებული ვითარება უნდა შეისწავლოს.

რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად აფხაზეთს დამოუკიდებლად არ აღიარებს და მას ისევ საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, რუსი სასულიერო პირები ხშირად ჩადიან აფხაზეთში და იქ აქტიურად ეწევიან მისიონერობას. აფხაზეთში მდებარე ეკლესიების მიმართ ინტერესი აქვს რუსეთის პატრიარქ კირილსაც.

ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსში სკანდალი სწორედ პატრიარქ კირილის მიერ წინამძღოლის დანიშვნას მოჰყვა. ახალგაზრდა აფხაზი სასულიერო პირები ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგნენ და აფხაზურ ეკლესიას გაემიჯნენ. მათ ცალკე საპატრიარქო ჩამოაყალიბეს. ამის გამო რუსმა მღვდელმთავრებმა მათ მღვდელმსახურება შეუჩერეს და მონანიებისკენ მოუწოდეს. ახალგაზრდებმა უარი თქვეს მონანიებაზე და რუსულ ეკლესიასაც გაემიჯნენ. 2011 წელს დაწყებული დაპირისპირება დღემდე გრძელდება.

ახალი ათონის საკითხზე გასულ წელს კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. აფხაზურ პრესაში დაიწერა, რომ რუსეთის პატრიარქმა კირილმა აფხაზ დეპუტატებს კატეგორიულად მოსთხოვა ახალი ათონის რუსეთის საპატრიარქოსთვის გადაცემა. ამის გათვალისწინებით, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მიზანს ისახავს ერთობლივი კომისიის შექმნა.

ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ მიმოწერა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევს შორის შედგა, 1 ნოემბერს კი ილარიონ ალფეევი საქართველოს საპატრიარქოს ერთდღიანი ვიზიტით ეწვია.

როგორც საპატრიარქოს ფეისბუქის გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მიტროპოლიტმა ილარიონმა კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს ეკლესიის დელეგაცია რუსეთის პატრიარქის ტიტულის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე მიიწვია.

მეუფე ილარიონმა განაცხადა, რომ ასევე მიპატიჟებულნი არიან ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქები და სხვა საპატიო სტუმრები.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა სტუმარს ჩამობრძანებისა და რუსეთის ეკლესიის სახელით მიპატიჟებისთვის.

ახალი ათონის საკითხის გარშემო ერთობლივი კომისიის შექმნას თეოლოგები სკეპტიკურად უყურებენ. ისინი საქართველოს საპატრიარქოს რუსეთის საპატრიარქოსთან ევქარისტული კავშირის გაწყვეტისკენ მოუწოდებენ.

ქართველი თეოლოგების განცხადებით, რუსეთის საპატრიარქო ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვის პოზიციებს იზიარებს, ამდენად, მსგავსი პროცესები საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

თეოლოგი ბექა მინდიაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის საპატრიარქო გამუდმებით ცდილობს საკუთარი უკანონო ინტერესების გატარებას.

– რუსეთის საპატრიარქოსადმი ყველაზე სწორი მიდგომა მასთან ევქარისტული კავშირის გაწყვეტა იქნება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პირდაპირ აღიარებს, რომ ემსახურება რუსეთის სახელმწიფოს, აღიარებს აფხაზეთს, აღიარებს ოსეთს, იქ მუდმივად ცდილობს საკუთარი უკანონო ინტერესების გატარებას, საქართველოს ეკლესიასთან და საქართველოს სახელმწიფოსთან აქვს არაქრისტიანული დამოკიდებულება. შესაბამისად, ანალოგიური პასუხი უნდა იყოს გაცემული საქართველოს მხრიდან, – მიიჩნევს თეოლოგი.

თეოლოგ ვლადიმერ ნარსიას აზრით, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საპატრიაქოს საკუთარი პოზიციების გამყარება უნდა.

– ასეთი წამოწყებით მათ სურთ, მაქსიმალურად გაამყარონ რუსეთის ეკლესიის პოზიცია და ინტერესები და ამ დიალოგში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა გამოიყენონ სათავისოდ.

შეუძლებელია, რომ აქ ვილაპარაკოთ პრობლემის გადაწყვეტაზე. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის ჩართულობით ისტორიას არ ახსოვს რაიმე ტიპის პრობლემის მოგვარება. რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ თამაშობს იმ წესებით, რომლებიც მისი ინტერესების დაცვასა და ბერკეტების გამყარებას გულისხმობს ნებისმიერ ასპარეზზე, ეს იქნება საერთაშორისო, პოლიტიკური თუ, მით უფრო, საეკლესიო ურთიერთობა.

შეხვედრა არ უნდა შედგეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ეკლესიის დელეგაციის მონაწილეობით. მასში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა სხვა ეკლესიათა წარმომადგენლობამაც, – ამბობს ვლადიმერ ნარსია.

თეოლოგების აზრით, ყველაზე კარგი იქნება, თუ მოლაპარაკებებში კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენლები ჩაერთვებიან. ნარსიას თქმით, ასე ქართული ეკლესია თავს დაიზღვევს.

განსხვავებული შეხედულება აქვს თეოლოგ ლევან აბაშიძეს. მისი აზრით, რუსულ ეკლესიასთან დიალოგი აუცილებელია.

აბაშიძის თქმით, რუსეთის ეკლესია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ეკლესიებს არ აღიარებს და ეს ქართულმა ეკლესიამ უნდა გამოიყენოს.

– რუსეთის ეკლესია არ აღიარებს არც აფხაზეთის, არც სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებელ ეკლესიებს. ის აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, ჩვენმა ეკლესიამ ეს უნდა გამოიყენოს. ამიტომ შეხვედრები უნდა იყოს. თავისთავად შეხვედრა არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება იქნება ორივე მხარისთვის მისაღები. მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი შეხვედრები და დიალოგი აუცილებელია, – მიიჩნევს ლევან აბაშიძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან საბოლოოდ წავიდა“

„მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლა შულავერის კომიტეტს გააააქტიურებს“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „ოპოზიციამ ამ არჩევნებზე შანსი ხელიდან გაუშვა“

რატომ შეწყვიტა რუსეთმა მავთულხლართების გავლება, რა ძალები გააქტიურდებიან ციხიდან მერაბიშვილის გამოსვლის შემთხვევაში, რატომ წავიდა პოლიტიკიდან ივანიშვილი, რა შანსი გაუშვა ხელიდან ოპოზიციამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

– აქტიურად დგას დღის წესრიგში სააკაშვილის უკრაინიდან ექსტრადირების საკითხი. ამის პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილმა, შესაძლოა, საპყრობილე ვადაზე ადრე დატოვოს. თქვენი აზრით, ეს უბრალო დამთხვევაა თუ რაღაცა ხდება?

– პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება და არც ესაა შემთხვევითი. ახლა გააჩნია, ეს სიახლეები ვის სასარგებლოდ დალაგდება. შემთხვევითი არაა, რომ ევროსტრუქტურების ზოგიერთი წარმომადგენელი, საერთაშორისო სამართლის დაცვით, მერაბიშვილის გათავისუფლებას ითხოვს.

ვიღაცას ძალიან უნდა, რომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გარეთ გამოვიდეს, რაშიც, სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებულ საფრთხეებს ვერ ვხედავ. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში არეულობა დასავლეთის ინტერესებში არ შედის.

– აბა, რატომ ითხოვენ ევროპელი პოლიტიკოსები მერაბიშვილის ციხიდან გამოშვებას?

– ამას რამდენიმე პოლიტიკოსი ითხოვს. ჩათვალეთ, რომ საქმე გვაქვს ვიღაცების კორპორატიულ ინტერესებთან. დასავლეთის ინტერესში არ შედის, რომ 2020 წლამდე საქართველოში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გაცოცხლდნენ.

– ხალხის რეაქცია როგორი იქნება, თუ მერაბიშვილი ციხიდან გამოვა? ადამიანები, რომლებმაც იმ 9 წლის განმავლობაში საშინელება გადაიტანეს და დღემდე ვერ მოახერხეს სამართლის პოვნა, ამ ამბავს მშვიდად შეხვდებიან?

– უკმაყოფილება, ბუნებრივია, იქნება, მაგრამ მანამდე ის ციხიდან უნდა გამოვიდეს. ისიც გასათვალისწინებელი იქნება, რა პოზიციას დაიკავებს მერაბიშვილი.

არ გამოვრიცხავ, რომ საერთოდ წავიდეს ქვეყნიდან. პოლიტიკაში არაფერი არ უნდა გამორიცხო და შესაძლოა მან პოლიტიკური აქტიურობა დაიწყოს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა ექნება, ვის შეუერთდება – ნაციონალურ მოძრაობას თუ „ევროპულ საქართველოს“. არც ის გამორიცხოთ, რომ მან თავისი გუნდი ჩამოაყალიბოს.

ხალხს ყველა ვარიანტში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ექნება. ეს რეაქცია ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული. სააკაშვილის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც შეეცდებიან, ურთიერთობები ქუჩაში გაარკვიონ.

– ქუჩის აქციები რამდენად შეცვლის ვითარებას? არჩევნების წინაც იყო აქციები, მაგრამ ისე მიდიოდა ეს პროცესი, ვითომ არაფერი ხდებოდა. არადა, ვიღაცებს დიდი მოლოდინი ჰქონდათ.

– მერედა, რატომ ეგონა ხალხს ასე? ჩვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვით, რომ ყველაფერი ძალიან კარგად ჩაივლიდა და პარტიების ვაჭარი ლიდერები სიტუაციას ვერ არევდნენ. მათი მიზანი არც ყოფილა სიტუაციის არევა. ეს იყო ხელისუფლებასთან ვაჭრობა და სხვა არაფერი.

რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ შეიძლება ვიღაც გაასულელოს და არჩევნებზე ხმა მიაცემინოს თავიანთი პარტიისთვის. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხალხი ამ პარტიას ქუჩაში საომრად ან საჩხუბრად გამოჰყვება.

ვიღაცას თუ სააკაშვილის ჩამოსვლის იმედი აქვს, ძალიან ცდება. მას უკვე აღარავინ უჭერს მხარს და მაგაზე ფსონს არავინ დადებს, ისევე, როგორც საქართველოში მოღვაწე პრორუსულ ძალებზე.

წინა ინტერვიუებში გითხარით, რომ რუსეთი საქართველოში ახალ შულავერის კომიტეტს შექმნის. თუ ამ კომიტეტში ისევ ძველი სახეები შევლენ და ისინი სათანადო სიმაღლეს ვერ ასწევენ, მაშინ არც მაგათზე დაიდება ფსონი.

– იმ შემთხვევაში რა ხდება, თუ შულავერის კომიტეტი გაქაჩავს?

– ამ შემთხვევაში რუსეთი ასპარეზზე გამოიყვანს სარეზერვო ფიგურას, რომელიც ჯერ პროცესებში არ ერევა. კომიტეტი თუ სიტუაციას არ მოამწიფებს, ის ადამიანი ისევ ჩრდილში დარჩება.

შულავერის კომიტეტის დაკომპლექტებას ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლა დააჩქარებს. სააკაშვილის ექსტრადირება თუ მოხდა, მაშინ შულავერის კომიტეტი ხომ გაცოცხლდება და გაცოცხლდება.

– მომავალ წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. შულავერის კომიტეტს ანუ რუსულ ძალებს თუ ეყოლებათ საკუთარი კადრი და რას მოიმოქმედებს კრემლი მის დასახმარებლად? დასავლური პრესა დღემდე ამტკიცებს, რომ ტრამპი რუსეთის დახმარებით გახდა აშშ-ის პრეზიდენტი. ჩვენთან როგორ იქნება საქმე?

– საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანი აღარ არის, რადგან ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ. ეს არჩევნები გარესამყაროსთვის ერთი რამით იქნება საინტერესო, ისინი პარტნიორობისთვის სავარაუდო კანდიდატებს დააკვირდებიან. რაღაცა განსაკუთრებულის მოლოდინში 2020 წლამდე არც რუსეთია და არც დასავლეთი.

– 2020 წლამდე სულ რომ თავზე დაიმხოს „ოცნებამ“ ქვეყანა, ხალხი ამას გაგებით მოეკიდება?

– მთლად ასე არ არის საქმე. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დიდი ცვლილებები დაიწყება.

– მხედველობაში სამთავრობო ცვლილებები გაქვთ?

– ცხოვრებაში ცვლილებებს ვგულისხმობ. ბევრი ახალი პროექტი იწყება და ეს აუცილებლად აისახება საქართველოზე.

– თვითმმართველობის არჩევნებზე არსად ჩანდა ივანიშვილი. თქვენი აზრით, ის „ოცნებას“ გაემიჯნა თუ პოლიტიკას ჩამოშორდა?

– დიახ, ის არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში, საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკას.

– არის ვერსია, რომ მას დასავლეთი ანგარიშების გაყინვით დაემუქრა და ამიტომ გაუჩინარდა.

– მუქარა არაფერ შუაშია. ივანიშვილმა სულ სხვა მიზეზით მოახდინა პოლიტიკიდან დისტანცირება. დადგა დრო, როცა უნდა გაირკვეს, ქართულ პოლიტიკაში ვინ ვინ არის. ჯანსაღი კონკურენციის ერა დაიწყო.

– რაღაცები უკვე გარკვეულია – მთავარი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობაა. ეს ჯანსაღი კონკურენციის შედეგია?

– მესმის, რომ ხალხს ნაციონალური მოძრაობა არ მოსწონს, მაგრამ ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ საკითხს – რომელმა ოპოზიციურმა პარტიამ აჯობა ნაციონალებს? დაეჯაბნათ და აღარ იქნებოდა ეს პარტია მთავარი ოპოზიციური ძალა.

– ძალთა ასეთი განლაგება ივანიშვილის პროექტი ხომ არ არის? ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების წინ ამბობდა, შუა უნდა გაიკრიფოს, ჩვენ და ნაციონალები უნდა დავრჩეთო.

– მაშინ ასე სჭირდებოდა საქმეს. ახლა აღარავის ეუბნებიან, გაიკრიფეთო. თვითმმართველობის არჩევნებში მართლა ჯანსაღი კონკურენცია იყო. ასეთ დროს უნდა გამოიკვეთოს ძალები, რომლებსაც წამყვანი პოზიციები ექნებათ და სტაბილური ელექტორატი ეყოლებათ.

ამ არჩევნების შემდეგ 4 პოლიტიკური ძალა გამოიკვეთა. ეს ხალხის არჩევანია. როგორიც ერია, ისეთია ბერიც.

– ძალთა ასეთ განლაგებას მთლად ხალხის არჩევანს ნუ ვუწოდებთ. არჩევნებზე სულ უფრო და უფრო ცოტა ამომრჩეველი მიდის.

– ეგ მთავარი და ძალიან სერიოზული პრობლემაა. ხალხმა არჩევნებზე სიარული ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს შეწყვიტა – არჩევნებზე 30%-ზე მეტი აღარ მიდიოდა.

ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობის ნდობა დაებრუნებინათ, ზურაბ ჟვანიამ და მოქალაქეთა კავშირმა შეცვალეს კანონი, რომლის მიხედვითაც არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ იქ ამომრჩევლების 30% მივიდა.

ამ მხრივ უკეთესობა არც ახლაა. ხალხი არჩევნებზე არ დადის. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარჩევნო უბნებზე პარტიებს მხოლოდ თავიანთი ამომრჩეველი მიჰყავთ. ის, ვინც თავისუფალ არჩევანს უნდა აკეთებდეს, სახლში დარჩენას ამჯობინებს.

– და მესიას ელოდება?

– მესიას არა, სიტყვის კაცს ელოდება. ხალხი ისეთი კაცის მოლოდინშია, რომელიც მზად არის, გმირულად შეებრძოლოს ქვეყნის მტრებს. ასეთი კაცი თუ გამოჩნდა, მას ბევრი დაუდგება გვერდში. საქართველოს ისტორია გმირებისა და ლეგენდების ისტორიაა.

– გმირების გარდა, მოღალატეც ბევრი გვყავდა.

– მოღალატეების გარდა, სარგებლობის მაძიებელი მედროვეც ბევრი გვყავდა და გვყავს. გმირის როლის შემსრულებელი მოღალატეები მობეზრდა ხალხს და ამიტომაც აღარ დადიან არჩევნებზე.

– რითაც რამდენიმე პარტია კარგად სარგებლობს.

– სარგებლობენ, მაგრამ ოპოზიციას შეეძლო, ის ნიშა დაეკავებინა, რომ მის გარეშე „ოცნებას“ გადაწყვეტილება ვერ მიეღო. როგორც ჩანს, ოპოზიციაში უფრო ბევრია კერძო ინტერესების გამტარებელი, ვიდრე სამთავრობო პარტიაში.

– არჩევნების წინა პერიოდში, მთელი ზაფხულის განმავლობაში რუსები სისტემატურად სწევდნენ საოკუპაციო ხაზს. ახლა კარგა ხანია აღარსად გაუვლიათ ის დასაწვავი მავთულხლართები და რა ხდება, მისაღები მიიღეს თუ ისევნებენ?

– საოკუპაციო ხაზის გადმოწევა რამდენიმე მიზანს ემსახურება. ეს კეთდებოდა რუსეთის მოსახლეობის დასანახავადაც და საქართველოში პრორუსული ძალებისთვის სტიმულის მისაცემადაც. მთავარი მიზანი კი სულ სხვა რამე იყო. რუსეთი აგვისტოში საქართველოში აპირებდა შემოჭრას და ამისთვის ამზადებდა ნიადაგს.

დასავლეთის ჩარევის შემდეგ მოსკოვმა ამის გაკეთება დროებით გადაიფიქრა. ახლა კრემლისთვის მთავარი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაა. საქართველოში შემოჭრის შემთხვევაში დასავლეთი მას კიდევ უფრო დაუმძიმებდა სანქციებს, რაც რუსეთის ეკონომიკას მთლიანად ჩამოშლიდა. მშიერი ხალხის ბუნტი კი პუტინს არაფერში აწყობს. მათი ეკონომიკა ისეთ მძიმე დღეშია, ადრე თუ გვიან მაინც ჩამოიშლება.

– ასეთ მძიმე დღეში თუ არის მათი ეკონომიკა, ოკუპირებული რეგიონების დაფინანსებას როგორ ახერხებენ?

– აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაფინანსებას რა უნდა, ერთი სტადიონი ხალხია და მაგათ როგორმე შეინახავს. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ოკუპირებულ რეგიონებში კარგად ცხოვრობენ, ძალიან ცდება. აფხაზებთან გვაქვს ურთიერთობა და ვიცი მათი განწყობა. ისინი უკვე მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ახლა უკან დახევა უჭირთ.

– მაშინ, როცა ამ ნაბიჯს დგამდნენ, ამბობდნენ, პატარა ღელეში ყოფნას დიდ ოკეანეში დახრჩობა გვირჩევნიაო.

– ჰოდა, იხრჩობიან კიდეც. მალე რუსეთს მაგათი პატრონობის თავი აღარ ექნება. სხვისი მიწების მიტაცებისთვის კრემლი ძალიან დიდ საფასურს გადაიხდის.

ზუგდიდის გამგებლის მოადგილე თამაზ ჟორჟოლიანი ავარიაში დაიღუპა

ზუგდიდი-თბილისის ავტომაგისტრალზე, სოფელ ცაიშთან მომხდარ ავტოავარიას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თამაზ ჟორჟოლიანი ემსხვერპლა. სამი ადამიანი მძიმედ დაშავდა.

თამაზ ჟორჟოლიანი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი გახდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშში.

ჟორჟოლიანი ამავე სოფლის მკვიდრია.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ერთმანეთს „მიცუბიშისა“ და „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომობილები დაეჯახნენ.

გამოძიება დაწყებულია 276-ე მუხლით.

„საქართველოში ბიუროკრატია თვიდან თვემდე იზრდება“

ქართველი ბიზნესმენების შემდეგ ქვეყანაში არსებულ ბიუროკრატიაზე უცხოელებიც საუბრობენ. როგორც ესტონელმა ბიზნესმენმა ოლეგ ოსინოვსკიმ „საქმის კურსს“ განუცხადა, საქართველოში ბიუროკრატია ყოველწლიურად და ყოველთვიურად იზრდება.

– ბიუროკრატია ყველგანაა. ქართული ბიუროკრატია თვისობრივად კიდევ განსხვავებულია, რასაც მეტწილად მენტალიტეტი განსაზღვრავს. პრინციპში, აქ არ არის ისეთი შეფერხებები, რომლებიც უკანონო ან არალოგიკურია. მაგრამ, სამწუხაროა, რომ ბიუროკრატია წლიდან წლამდე იზრდება და ეს შესამჩნევია. საქართველოში მუშაობა 10 წლის წინ დავიწყეთ და ვხედავთ, ბიუროკრატია ყოველთვიურად იზრდება. ესტონეთში ბიუროკრატია კიდევ უფრო დიდია. რაც უფრო უახლოვდები ევროკავშირს, მეტია ბიუროკრატია. ეს ცუდია, მაგრამ გასაგებია საიდანაც მოდის, – აცხადებს ოსინოვსკი.

ბიზნესმენი ინვესტიციას ახორციელებს ენერგეტიკაში, ასევე ის არის საქართველოში პირველი საერთაშორისო გოლფკლუბის ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი.

მამუკა ტუსკაძე: „ვანო მერაბიშვილის ვადამდე გათავისუფლებას ხმას არ მივცემ“

გულიკო ბალაძე

– ვანო მერაბიშვილის ვადამდე გათავისუფლებას ხმას არ მივცემ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე.**

– ბატონო მამუკა, თქვენ ბრძანდებით პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი. ადვოკატები ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების შესაძლებლობებზე საუბრობენ. თქვენი პოზიცია როგორია?

– მერაბიშვილს ვადაზე ადრე გათავისუფლების განხილვის უფლება ავტომატურად აქვს, თუმცა არსებობს ხუთპუნქტიანი წესი, რომლის მიხედვითაც ვანო მერაბიშვილი ვერცერთ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს.

– რა პუნქტებია?

– პირველი არის წარსულში ნასამართლობა. ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, რადგან მერაბიშვილი წარსულში ნასამართლევი არ არის. მეორე არის ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია, დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. მას ბრალად ედება სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა, 332-ე მუხლი, მკვლელობების ორგანიზება, დეპუტატ გელაშვილზე თავდასხმის ორგანიზება, რაც მძიმე დანაშაულია. ე.ი. მეორე მუხლს ვერ აკმაყოფილებს.

მესამე არის ციხეში მოქცევის კრიტერიუმი, მისი რესოციალიზაციისკენ მიდრეკილება. თუ მოხდა ციხეში მოხვედრილი პირის რესოციალიზაცია, განმეორებით დანაშაულს არ ჩაიდენს და საზოგადოებისთვის საშიში არ არის. მერაბიშვილს ციხის არცერთ აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია.

– რა აქტივობაში უნდა მიეღო მონაწილეობა ციხეში?

– ციხეში გარკვეული აქტივობები ტარდება, კონკურსები იმართება. მაგალითად, ინგლისურის სწავლა შეიძლება. მერაბიშვილი არცერთ აქტივობაში არ მონაწილეობს, ანუ ამ კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

– ანუ ასეთ აქტივობებში ჩართვა აუცილებელია?

– დიახ, აუცილებელია. კანონის მოთხოვნაა, პატიმარი, რომელიც უნდა გათავისუფლდეს ვადაზე ადრე, ჩართული უნდა იყოს რაიმე აქტივობაში.

შემდეგი კრიტერიუმია დაზარალებულის თანხმობა. მაგალითად, გელაშვილის საქმეში ვანო მერაბიშვილს არ აქვს დაზარალებულის თანხმობა, ამიტომ ან კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

– გელაშვილი იქნებ თანხმდება ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლებას.

– გელაშვილი თუ თანხმდება ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლებას, ნოტარიუსში უნდა მივიდეს და დაწეროს თანხმობა, თანახმა ვარ, ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების საკითხზე ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ იმსჯელოს და მე პრეტენზია არ გამაჩნიაო.

– ამას კი, როგორც ვხვდები, გელაშვილი არ გააკეთებს.

– არ ვიცი, გელაშვილი თუ ამას გააკეთებს, გააკეთოს. ამას გეუბნებით, როგორც ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი.

– კადრები არსებობს, სადაც მერაბიშვილი პოლიციელებს ეუბნებოდა, ორი გვამი მინდაო.

– მე მერაბიშვილის გათავისუფლებას მხარს არ დავუჭერ, რადგან ის ჯალათი, მკვლელი, გამომძალველი და მოძალადეა და საზოგადოებისთვის დღესაც საშიშია.

– თუმცა, დღეს მედიაში მიმდინარეობს მსჯელობა და მისი ადვოკატები აცხადებენ, რომ უკვე დადგა ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების დრო.

– ჯერ ადრეა ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმის განხილვა. მას სასჯელი უმთავრდება 2020 წლის შემოდგომაზე. ვადაზე ადრე გათავისუფლების განხილვა წელიწად-ნახევრით ადრე ხდება, ანუ 2018 წლის გაზაფხულზე უწევს საქმეს განხილვა და ან დავაკმაყოფილებთ, ან არა. ნაადრევად ატეხეს ხმაური. მთელი წელიწად-ნახევარია დარჩენილი ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმის განხილვამდე. 700 საქმე შემოდის განსახილველად და ვაკმაყოფილებთ 50-ს.

– გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება თუ უმრავლესობით?

– უმრავლესობით.

– მოგეხსენებათ, უკრაინაში დაატიმრეს მეგის ქარდავა. მას წამებებში, სამეგრელოში აღმოჩენილ ჩანაწერებთან დაკავშირებით ედება ბრალი.

– მეგის ქარდავა ვანო მერაბიშვილისნაირი ადამიანია და დიდი ხნით უნდა იჯდეს ციხეში. ის საზოგადოებისთვის საშიში პიროვნებაა.

– მეგის ქარდავასთან, მის საქმიანობასთან მერაბიშვილს რაიმე ბმა ხომ არ აქვს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ საქმე აღძრული არ არის. მერაბიშვილი იმ დროს შს მინისტრი და სააკაშვილის რეჟიმის ხერხემალი იყო. როგორ ფიქრობთ, იმ 7 ათას ფაილში მერაბიშვილის დაკვეთით გადაღებული ფაილი არ არსებობს? არსებობს და მეტიც.

– ამით ხომ არ არის განპირობებული მერაბიშვილის ადვოკატის დამაჯერებელი საუბარი იმაზე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს უკვე ამა წლის შემოდგომაზე უწევდა ვადაზე ადრე გათავისუფლება?

– მერაბიშვილის საქმის განხილვა ამ შემოდგომაზე არ უწევს, ჯერ ადრეა.

– ხომ არ არის მოსალოდნელი, მერაბიშვილს კიდევ ერთი ბრალდება წაეყენოს მეგის ქარდავას საქმიდან გამომდინარე და დაუმძიმდეს სასჯელი?

– მერაბიშვილს დაუმძიმდება სასჯელი მხოლოდ მეგის ქარდავას საქმესთან დაკავშირებით არა, მე თქვენთან მაქვს ნათქვამი, პრეზიდენტის რეზიდენციის გვერდით მოქალაქის ნაკვეთი რომ მიითვისა.

თუ ვანო მერაბიშვილის საქმეს ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია განიხილავს და გათავისუფლებაზე უარს ეტყვის, ყოველ 6 თვეში შეიძლება საქმის განმეორებით განხილვა. თუ 2018 წლის გაზაფხულზე უარს ვეტყვით გათავისუფლებაში, შეიძლება განვიხილოთ კიდევ 2019 წელს.

– ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია როგორ მუშაობს?

– სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში, მართვის მიმართულებით, შეიძლება ითქვას, უნიკალური მდგომარეობაა.

– რა თვალსაზრისით?

– ყველანაირი თვალსაზრისით. მსგავსი გამჭვირვალობა საზოგადოების მშენებლობის პირობებში არ არსებობს, რაც არის ამჟამად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, რომელმაც ძალიან ბევრი პროექტი განახორციელა ამ ხელისუფლების პირობებში.

– წინა მინისტრების დროიდან ასეა თუ ახლა გახდა გამჭვირვალე?

– სასჯელაღსრულების სისტემა გამჭვირვალე გახდა კახი კახიშვილის მინისტრობის პერიოდში. მან, პრაქტიკულად, გახსნა სასჯელაღსრულების სამინისტრო.

– რა კატეგორიის მსჯავრდებულები გამოდიან დღეს ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებით?

– ყველა კატეგორიის პატიმარს ეხება ვადაზე ადრე გათავისუფლება, გარდა განსაკუთრებული რისკის მქონე მსჯავრდებულებისა. განსაკუთრებული რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც განთავსებული არიან მე-5 და მე-7 დაწესებულებაში. უვადო პატიმრებსაც კი ეხებათ ვადაზე ადრე გათავისუფლების განხილვა.

– უვადო პატიმრებიდან ვინმე გათავისუფლდა ვადაზე ადრე?

– კანონში წერია, რომ უვადო პატიმარმა 20 წელი უნდა მოიხადოს იმისთვის, რომ მისი საკითხი ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ განიხილოს. ჯერჯერობით 20 წლამდე ვადა არცერთ უვადო პატიმარს არ მოუხდია. 18 წელია სხედან ადამიანები, მაგრამ 20 წელი – არა.

აიეტ კუკავა: „დღეს ძირითადი თანხები საბანკო სექტორშია მოქცეული, რაც ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია“

– დღეს ძირითადი თანხები საბანკო სექტორშია მოქცეული, რაც ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია, მითუმეტეს, გვაქვს სამი ბანკი, რომელსაც ბაზრის 90% უჭირავს. მაკროეკონომიკური რყევების დროს ბანკები ჩაიყოლებს მთელ ეკონომიკას, ეს არის მინსკის მოდელი.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტს“ „ალიანსჯგუფ ჰოლდინგის“ აღმასრულებელმა დირექტორმა აიეტ კუკავამ განუცხადა. ამიტომ, მისივე თქმით, ქვეყანაში აუცილებლად უნდა განვითარდეს კაპიტალის ბაზარი.

რაც შეეხება საპენსიო რეფორმას, კუკავას განცხადებით, ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

– ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარება და დღეს ის ეროვნული ბანკის ქვეშ არის, რომლის ძირითადი ფუნქციაა კომერციული ბანკები კონტროლი. ეროვნული ბანკი არის უფრო კონსერვატიული და ისეთი რისკიანი სექტორი, როგორიც არის კაპიტალური ბაზრის ზედამხედველობა, ვერანაირად ვერ იქნება ეროვნულ ბანკში. ეს ძალიან აფერხებს ეკონომიკას, რადგან ქვეყანაში არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი და ბიზნესის დაფინანსების ერთადერთი გზა არის ბანკის სესხი და ძალიან ბევრ შემთხვევაში არის ბიზნესი, რომელიც იმსახურებს ნდობას მოსახლეობის მხრიდან და მათ შეუძლიათ ფულის მოზიდვა, მაგრამ გართულებულია ამ სტრუქტურის გამო. მოსახლეობის ინვესტირების გზა არის ან დეპოზიტი ან უძრავ ქონებაში თანხის დაბანდება. როცა ამ დროს ადამიანს 10.000 დოლარად 50 კომპანიის აქციების ყიდვა შეუძლია, თუნდაც მიზერული რაოდენობის, რაც შემდგომ 10-20 წლის ვადაში ის შეიძლება გახდეს 100.000 დოლარი.

ეროვნული ბანკი და ზოგადად ის სტრუქტურა, რომელსაც ძალით მოახვიეს თავს ამის კურირება, ყოველთვის იქნებიან წინააღმდეგი პერსპექტიული კომპანიების, რომელთაც თამამი გეგმები აქვთ. მოსახლეობას მათი სჯერათ, მაგრამ კომერციულ ბანკებს არ სჯერა, რადგან კომერციული ბანკი კონსერვატიულია, ეს კი უნდა გაიყოს. ადამიანებს უნდა მივცეთ უფლება, რომ თავიანთი ფული განკარგონ, – განაცხადა აიეტ კუკავამ.

მისივე თქმით, „დღეს ძირითადი თანხები საბანკო სექტორშია მოქცეული, რაც ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია, მით უმეტეს, გვაქვს სამი ბანკი, რომელსაც ბაზრის 90% უჭირავს. მაკროეკონომიკური რყევების დროს ბანკები ჩაიყოლებს მთელ ეკონომიკას, ეს არის მინსკის მოდელი“.

– ჩვენ გვაქვს ნათელი მაგალითი ვარშავის ბირჟა, რომელიც ევროპაში არაფერს არ წარმოადგენდა, მაგრამ მალე ხუთეულში შევიდა. ბირჟის განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით ბევრ დადებით შედეგს მიიღებს. საერთოდ, თუ ბირჟა არის განვითარებული და ინვესტორებს ყიდვა შეუძლიათ ონლაინ ან ბროკერების მეშვეობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალიან სწრაფად გაიზრდება, რაც გამოიწვევს ძალიან ბევრი კომპანიის დაფინანსებას და ასევე დასაქმდება ათასობით პროფესიონალი მომსახურე ისეთ დარგებში, როგორიც არის აუდიტი, იურიდიული საგადასახადო კონსულტანტები, ბროკერები და ა.შ.

ამასთან საქართველო არის ყველაზე გახსნილი ქვეყანა რეგიონში, მას შეუძლია იყოს ფინანსური და ბიზნესცენტრი მთელ რეგიონში, ტაჯიკეთი, უზბეკეთი აზერბაიჯანი, სომხეთი – ყველა ეს ქვეყანა შესაძლოა, ფასიანი ქაღალდები გამომოვიდნენ ჩვენთან და ერთმანეთის აქციები იყიდონ საქართველოს ბირჟაზე, რითაც საქართველო როგორც მომსახურე ქვეყანა, დიდ შემოსავალს მიიღებს. ჩვენი პროფესიონალები ძალიან კონკურენტუნარიანები გახდებიან რეგიონში, – განაცხადა აიეტ კუკავამ რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას.

„მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ წლის ბოლოს ლარი გაუფასურდება“

– ბიზნესს, მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ წლის ბოლოს ლარი გაუფასურდება და როდესაც შემოსავლები უჩნდებათ, ცდილობენ მეოთხე კვარტლის დასაწყისში ვალუტის შეძენა მოახდინონ, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ საფინანსო-საბიუჯეტი კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს განიხილავენ. გიორგი კაკაურიძეს დეპუტატებმა შეკითხვები ლარის კურსთან დაკავშირებითაც დაუსვეს.

როგორც გიორგი კაკაურიძემ აღნიშნა, 2014 წლის ნოემბერში დაიწყო ლარის კურსმა პირველი რყევა და მას შემდეგ იყო საკმაოდ დიდი რყევები.

– თუ ჩვენ ვნახავთ, რა სიტუაცია იყო მაშინ ჩვენს სავაჭრო პარტნიორებში – თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ა.შ. მათი ვალუტების მნიშვნელოვანი გაუფასურება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი მცდელობა იყო და მილიარდობით რეზერვი იქნა გამოყენებული, რათა ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს მათი ვალუტების ცვალებადობა არ მოეხდინათ, ამან ვერ უშველა. მიუხედავად, მცირე პერიოდით შენარჩუნების, დოლართან მიმართებაში არაერთი ჩვენი სავაჭრო პარტნიორის ვალუტის მყისიერი გაუფასურება მოხდა, – განაცხადა კაკაურიძემ და დასძინა, რომ სავაჭრო პარტნიორების ვალუტის გაუფასურება როცა ხდება, გამორიცხულია ეს არ აისახოს ქვეყნის გაცვლით კურსზე.

რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, გიორგი კაკაურიძის განცხადებით, ყველანაირი ფაქტორი, რომელიც გაცვლით კურსზე მოქმედებს, დადებითია. მინისტრის მოადგილის განცხადებით, დღევანდელი სიტუაცია არ არის გამოწვეული იმ ფუნდამენტური ფაქტორებიდან, რაც გაცვლით კურსზე მოქმედებს.

გიორგი კაკაურიძის განცხადებით, დღეს ლარის ცვალებადობაში დიდწილად როლი ითამაშა შექმნილმა მოლოდინებმა.

– სამწუხაროდ, ეს მოლოდინები შექმნილია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ქვეყანაში ჩამოყალიბდა მოლოდინი, რომ ყოველ წელს მეოთხე კვარტალში ლარი უნდა გაუფასურდეს. მცირე ბიზნესს, შეიძლება მსხვილ ბიზნესს, მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ წლის ბოლოს ლარი გაუფასურდება და როდესაც შემოსავლები უჩნდებათ, ცდილობენ მეოთხე კვარტლის დასაწყისში ყოველთვის მოახდინონ ვალუტის შეძენა. სამწუხაროდ, გვაქვს ეს მოცემულობა. ეს მოცემულობა ალბათ, სამართავია და უნდა მოხდეს მისი მართვა, რომ მოლოდინები სწორად იქნეს ჩამოყალიბებული. ეს მოლოდინები ახდენს დღეს დიდ გავლენას, რომელიც ლარის კურსზე მოქმედებს, – განაცხადა კაკაურიძემ.

„ევროპული საქართველოს“ წევრის ხათუნა გოგორიშვილის კითხვაზე, რამდენი წელია რაც მოსახლეობას და ბიზნესს აღნიშნული ფობიები და შიშები დაეწყო, გიორგი კაკაურიძის განმარტებით, ამას ეწოდება მოლოდინები და ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც მოხდა ვალუტების მნიშვნელოვანი გაუფასურება დოლართან მიმართებით, კერძოდ, 2015-2016 წლებიდან.

ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის გაცვლითი კურსის მდგრად დასტაბილურებას იანვრის მეორე ნახევარში ვვარაუდობ“

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ალექსანდრე თვალჭრელიძეს** ესაუბრა.

– ბატონო ალექსანდრე, ლარი განაგრძობს გაუფასურებას. ოპოზიცია ლარის გაუფასურების მიზეზად ბიუჯეტის დაუბალანსებლობას, ხაზინის ნაშთებზე არსებული ფულით ასეული მილიონი ლარით კომერციული ბანკების დაკრედიტებას, ბიუჯეტის ხარჯვის გეგმიდან ჩამორჩენას და ასევე იმას მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკი უპრეცედენტო მოცულობით ზრდის სესხების რეფინანსირებას და მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დუმილს ამჯობინებს...

თქვენი დაკვირვებით, რამდენად საფუძვლიანია ლარის გაუფასურების მიზეზებზე ოპოზიციის არგუმენტები?

– ჯერ ძალიან მცირე დრო გავიდა სერიოზული ანალიზისთვის, მოგეხსენებათ, ტენდენციების გამოსავლენად აუცილებელია სტატისტიკური კანონზომიერებების დადგენა, რაც ახლა შეუძლებელია. ამიტომ ჩემს აზრს ვარაუდის დონეზე გაგიმხელთ, თანაც იმ პირობით, რომ შეიძლება ვცდებოდე.

არ მჯერა იმის, რომ ლარის გაუფასურება კომერციული ბანკების საჰეჯინგო პოლიტიკასთან ყოფილიყოს დაკავშირებული: ჰეჯინგის ტექნოლოგიების გამოყენებისას აუცილებელია ლარის გაცვლითი კურსის წინმსწრები პროგნოზი, რაც უწონასწორობის პირობებში ერთობ სახიფათოა.

არჩევნებამდე, არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგაც მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა არ შეცვლილა, ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ მოკლევადიანი ტენდენციები უნდა განვიხილოთ იმის გათვალისწინებით, რომ წონასწორობა ლარისა და დოლარის თუ ევროს გაცვლით კურსებს შორის აღდგება, რა დონეზე – ეს სხვა საკითხია. არ მჯერა იმისიც, რომ ლარის გაუფასურება კომერციული ბანკების საჰეჯინგო პოლიტიკასთან ყოფილიყოს დაკავშირებული: ჰეჯინგის ტექნოლოგიების გამოყენებისას აუცილებელია ლარის გაცვლითი კურსის წინმსწრები პროგნოზი, რაც უწონასწორობის პირობებში ერთობ სახიფათოა. ლარის გაუფასურება უცხოური ვალუტის ნაკლებობაზე მეტყველებს. ამიტომ, ჩემი ვარაუდით, ვიმეორებ, დაუმტკიცებელი ვარაუდით, ჩვენ შემდეგ მოვლენებთან გვაქვს საქმე.

არჩევნების წინ სხვადასხვა პარტიების საარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად ქვეყანაში ბევრი ფული შემოდინდა და მე გულახდილად ვეჭვობ, რომ აუდიტის სამსახურს ამ თანხების სრული აღნუსხვა მოეხერხებინოს. არჩევნების შედეგები ჩვენ ყველამ ვიცით და ბევრ პოლიტიკურ პარტიას, აქ არ დავასახელებ მათ, მეორე ტურისთვის გამიზნული სახსრები დარჩა გამოუყენებელი. ამჟამად ამ თანხების უცხოურ ვალუტაში სწრაფი კონვერტაცია და ქვეყნიდან გადინება მიმდინარეობს. მეორეც, ძალიან ბევრ შეძლებულ ადამიანს, რომლებმაც, ასე ვთქვათ, არასწორი პოლიტიკური ფსონი დადეს, გაუჩნდა შიშები, ვერ ვიტყვი, რამდენად გამართლებული, და ისინი თავიანთი აქტივების საზღვარგარეთ გატანას ცდილობენ. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი სახსრების უკრაინაში შეტანა ხდება.

მესამეც, სანამ ახლად არჩეული მერები თავის საქმეს არ შეუდგებიან და ადგილობრივი მეწარმეები არ გაეცნობიან „თამაშის ახალ წესებს“, მეტნაკლები ინვესტირება საქართველოში არ არის მოსალოდნელი, ამიტომ ქვეყნიდან გადენილი სახსრები შემოტანილი ინვესტიციებით არ დაბალანსდება.

არჩევნების წინ სხვადასხვა პარტიების საარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად ქვეყანაში ბევრი ფული შემოდინდა და მე გულახდილად ვეჭვობ, რომ აუდიტის სამსახურს ამ თანხების სრული აღნუსხვა მოეხერხებინოს... ამჟამად ამ თანხების უცხოურ ვალუტაში სწრაფი კონვერტაცია და ქვეყნიდან გადინება მიმდინარეობს.

ყველაფერ ამას კიდევ წინასაახალწლო ციებ-ცხელება დაემატება. ამიტომ, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მე ლარის გაცვლითი კურსის მდგრად დასტაბილურებას იანვრის მეორე ნახევარში ვვარაუდობ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და შემდეგ ჩემი აზრის სისწორეზე ან გაუმართლებლობაზე ვისაუბროთ.

– ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ლარის დევალვაცია ხანმოკლეა“, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ განმარტებებს დამაჯერებლობა აშკარად იმის გამო აკლია, რომ ლარის დევალვაცია კვლავაც გრძელდება. თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ლარის გაუფასურება არა მარტო შეჩერდეს, არამედ ლარის გამყარების ტენდენცია მივიღოთ?

– მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს დამაჯერებლობა იმიტომ კი არ აკლია, რომ ეს განცხადებები არასწორია, არამედ იმიტომ, რომ ბატონი გახარია მხოლოდ განცხადებებს აკეთებს და არ უსსნის მოსახლეობას, რა დაემართა ლარს. ნუ ჰგონია, რომ მოსახლეობა მას ვერ გაუგებს. კარგმა სპეციალისტმა მესამეკლასელსაც კი შეუძლია აუხსნას, მაგალითად, ფარდობითობის თეორია.

– ადგილობრივი არჩევნები დასრულებულია და მისი შედეგებიც ცნობილია. ადგილობრივი არჩევნების შედეგები მრავალი თვალსაზრისით გახლდათ საინტერესო. თქვენ როგორ შეაფასებდით არჩევნების შედეგებსა და არჩევნების შემდეგ ქართულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულ რეალობას?

– ჩემთვის არაფერი საინტერესო არ მომხდარა: არჩევნების წინაც მე ვაცხადებდი, რომ ჯერ ერთი ეს არჩევნები ნაკლებ ინტერესს გამოიწვევდა მოსახლეობაში და მეორეც – მისი შედეგები აბსოლუტურად პროგნოზირებადი იყო. არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი და ეხლა უკვე ბატონი რამაზ საყვარელიძის მოსაზრება, რომ ქართულ პოლიტიკას აკლია ცენტრისტული პოლიტიკური ძალა – რღვევა, ერთი მხრივ, „ქართულ ოცნებასა“ და მეორე მხრივ, ნაცმოძრაობასა და ახლა უკვე „ევროპულ საქართველოს“ შორის აღუვსებელია.

ამ ბოლო პოლიტიკურმა ძალამ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები კი არ გადმოიბირა, არამედ ნაცმოძრაობას წაართვა ხმები. „პატრიოტთა ალიანსმაც“ თავისი ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რაც მისი აშკარად პრორუსული პოლიტიკით შეიძლება აიხსნას გავიხსენოთ, როგორ მოიგო „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები 2012 წელს. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იმ პერიოდში მოახერხა ყველა რეიტინგული ოპოზიციური ძალის გაერთიანება. სანამ ეს კიდევ ერთხელ არ მოხდება, ჩვენ განწირული ვიქნებით ვიცხოვროთ ამჟამინდელ სიტუაციაში. რესურსი კი დიდია – ამომრჩეველთა 55%. ამ თვალსაზრისით, აბსოლუტურად მართალია ბატონი რამაზ საყვარელიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ძველი ურეიტინგო პოლიტიკოსები ჩვეულ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდნენ. მაგრამ, ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ ლიდერობა გვინდა...

– „პატრიოტთა ალიანსმა“ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის გადადგომა იმ მოტივით მოითხოვა, თითქოს კვირიკაშვილი ბოკერიას გაურიგდა. არჩევნების გაყალბებაზე ასევე საუბრობს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციონერ ლიდერთა პრეტენზიები?

– ისევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ბევრად ადვილია ჩვენი წარუმატებლობა სხვას გადავაბრალოთ, ვიდრე ფიასკოს მიზეზი ჩვენ თავში ვეძებოთ.

ახლა მიპასუხეთ, როგორი უნდა ყოფილიყო ბატონ კვირიკაშვილსა და ბატონ ბოკერიას შორის გარიგება – მე ყველაფერი და შენ არაფერი?

როგორი უნდა ყოფილიყო ბატონ კვირიკაშვილსა და ბატონ ბოკერიას შორის გარიგება – მე ყველაფერი და შენ არაფერი? „ევროპულმა საქართველომ“ ხომ ამ არჩევნებში მეორე შედეგი ვერ აჩვენა. მეც შემიძლია, მაგალითად, მოგიწოდოთ გადადგეთ თანამდებობიდან, დამიჯერებთ? საერთოდ, ასეთი მოწოდებები ხავსმოკიდებული კლიშეებია და ჩემში ღიმილის მეტს არაფერს იწვევს. პოლიტიკოსებს ფიქრი და ახალი რეალიების შექმნა უჭირთ.

– ამომრჩევლების პასიურობის ფონზე დამკვირვებელთა ნაწილი შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის პრორუსულ ძალებად მიჩნეული პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერებას პროგნოზირებენ. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ე.წ. პრორუსული ძალები საკმაოდ გაძლიერებულები შეხვდებიან?

– რუსეთის ქმედებებმა აფხაზეთში და 2008 წელს წარმოშვა სიტუაცია, როცა ამ პროცესების ნეგატიური ზეგავლენა პრაქტიკულად ყოველ ქართველ ოჯახს შეეხო. ყოფილი, უკვე ხანდაზმული, ე.წ., მაპატიეთ სლენგისთვის, „ცეხავიკებისა“ და ზოგიერთი პენსიონერის გარდა, საბჭოთა რეალობა არავის ენატრება.

2020 წლის არჩევნებში პრორუსული ძალების გამარჯვებას გამოვრიცხავ, თუ არა და მე პრორუსულ საქართველოში – ქვეყანაში, რომელმაც ეროვნული ღირსება დაკარგა, ცხოვრება არ მომინდება

საქართველოში ძალიან აქტიურია პროდასავლური სულისკვეთება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში და იმ ადამიანებში, რომლებიც კარგად გრძნობენ თავს ევროპასა და აშშ-ში. შვიდი თვის განმავლობაში ას სამოც ათასზე მეტმა ადამიანმა (მეც, მათ შორის) უვიზო რეჟიმით ისარგებლა. საქართველოში სოციალურ არენაზე გამოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი არ უნახავთ და არასდროს ყოფილან რუსეთში. ამიტომ პრორუსული ძალების გამარჯვებას 2020 წლის არჩევნებში გამოვრიცხავ, თუ არა და მე პრორუსულ საქართველოში, ქვეყანაში, რომელმაც ეროვნული ღირსება დაკარგა, ცხოვრება არ მომინდება.

– ცნობილი გახდა, რომ 7 თვეში ევროკავშირში უვიზოდ 90 დღიანი ყოფნის ვადა საქართველოს 161.885 მოქალაქიდან, სავარაუდოდ, 9.875-მა დაარღვია. გასაგებია, რომ ჯერჯერობით, გასულ მოქალაქეთა მხოლოდ 6% არ დაბრუნებულა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება, ვინაიდან ქვეყანას სავარაუდოდ ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული ადამიანები ტოვებენ. თქვენი აზრით, რატომ ვერ ხერხდება მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული ნაწილის დასაქმება?

– საქართველოს ტოვებენ ის ადამიანები, რომლებსაც საზღვარგარეთ ცხოვრება უნდათ და ამ პროცესს ვერავითარი დაბრკოლებები ვერ შეაჩერებს. უხისტესი სავიზო რეჟიმის პირობებში ქვეყანა მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა და მეჩვენება, რომ ეს პროცესი დასრულებულია.

მეჩვენება აგრეთვე, რომ მალე ქვეყნიდან გასული ადამიანების რაოდენობა ქვეყანაში დაბრუნებულებით დაბალანსდება. ახალგაზრდებს კი ძალზე მაღალხელფასიანი სამსახური უნდათ. გამოუცდელი მოქალაქეებისთვის ასეთი არ არსებობს არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ მსოფლიოში. ქვეყნიდან გასულები ამაში ძალიან მალე რწმუნდებიან.

თავისი წარმატებული კარიერა საზღვარგარეთ ქართველების ყველაზე ბეჯითმა, ჭკვიანმა, ნიჭიერმა და იღბლიანმა უმნიშვნელო ნაწილმა თუ მოახერხა, ბევრი კი „ქართულ მაფიას“ შეუერთდა და ახლა დროს გისოსების მიღმა ატარებს.

საიტები, რომლებიც მოქალაქეებს მცირე თანხის სანაცვლოდ მაღალ მოგებას სთავაზობენ

საქართველოში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ისეთი საიტები, რომლებიც მოქალაქეებს მცირე თანხის სანაცვლოდ დიდ მოგებას სთავაზობს.

ასეთი საიტები ჰაიპის სახელით არის ცნობილი. ჰაიპი ერთგვარი ფინანსური მაქინაციაა, რომელიც ადამიანებს მცირე თანხის ინვესტირების სანაცვლოდ მაღალი პროცენტით მოგებას სთავაზობენ.

ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები ფულს აბანდებენ და მოგების მიღებას ცდილობენ ზუსტად ჰაიპებზე, რომლებიც მხოლოდ გარკვეული პერიოდით იქმნება და მცირე დროში უქმდება. შედეგად კი ზარალდებიან ის ადამიანები, ვინც მსგავს საიტებზე კრიპტოვალუტის გამომუშავებას ბოლოს იწყებს.

მაგალითად, უკვე აღარ ფუნქციონირებს „ავრორამაინი“, რომელიც როგორც ჩანს, საქართველოში საკმაოდ პოპულარული ჰაიპი იყო. თუმცა, მისი მსგავსი სხვა არაერთი საიტი არსებობს, რომელიც ასევე სწრაფად ხდება პოპულარული მოქალაქეებში.

სოციალურ ქსელებში არაერთი ვიდეო და „ფეისბუქის“ გვერდია უკვე შექმნილი, სადაც მოქალაქეები ამ კუთხით ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. როგორც „ფეისბუქში“ შექმნილ ჯგუფებში ამ საიტების მომხმარებლები წერენ, ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, რომ ეს საიტები დროებითია და შესაძლოა მალე გაუქმდეს, თუმცა არსებულ რისკებზე თვალს იმის გამო ხუჭავენ, რომ მსგავსი ჰაიპები როგორც წესი საკმაოდ მაღალ პროცენტს სთავაზობენ. სხვადასხვა ჰაიპების შემთხვევაში საუბარია, დღეში 9-10%-ის მიღებაზე.

ამასთან, საიტები ქსელური მარკეტინგის პრინციპითაც მოქმედებს. კერძოდ, კონკრეტული ჰაიპის მომხმარებელი დამატებით პროცენტს მიიღებს თუ საიტზე სხვა ადამიანსაც დაარეგისტრირებს.

სფეროს ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული სქემა ჩვეულებრივი ფინანსური პირამიდის სქემაა, სადაც შესაძლოა პირველ ეტაპზე ადამიანებმა მართლაც მიიღონ სარგებელი, თუმცა დიდია საფრთხე, რომ თანხა საერთოდ დაკარგონ. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს იმის გამოც, რომ მსგავსი საიტები უცხოეთშია რეგისტრირებული და შესაბამისად, თანხის დაბრუნების შანსიც ნაკლებია.

ამასთან, სპეციალისტების ცნობით, აღნიშნული საიტების უმეტესობა, ადამიანების მისაზიდად ძირითადად ბიტკოინს იყენებს და მოქალაქეებს არწმუნებს, რომ მსგავს ჰაიპებზე თანხის დაბანდებით, ბიტკოინის მიღებას და გამომუშავებას შეძლებენ.

„საზოგადოება და ბანკების“ თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს და აღნიშნავს, რომ მსგავსი საიტებით დაზარალებულმა რამდენიმე ადამიანმა ორგანიზაციას უკვე მიმართა. როგორც მან „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, კრიპტოვალუტების თემა საკმაოდ აქტუალურია, შესაბამისად არ არის გამორიცხული ვინმემ ამით ბოროტად ისარგებლოს და ითაღლითოს.

– ზოგადად, როდესაც იმხელა მოგებას გთავაზობენ, როგორც ეს მსგავსი ჰაიპების შემთხვევაშია, გარკვეული რისკები, რა თქმა უნდა, არსებობს და მოქალაქეები ფრთხილად უნდა იყვნენ. საიტები მოქალაქეებს ფულის მარტივად შოვნის საშუალებას აძლევს, რის გამოც შესაძლოა ვინმე არსებულ რისკებს არ დაუკვირდეს და თაღლითობის მსხვერპლიც გახდეს. ამიტომ ვფიქრობ, ამ მიმართულებით პრევენცია კარგი იქნება, – განაცხადა კეპულაძემ.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის დირექტორი ლაშა პატარაია კი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კრიპტოვალუტით სწრაფად გამდიდრების ილუზია სიმართლეს არ შეესაბამება.

– არ ვთვლი, რომ კრიპტოვალუტით ბიზნესის კეთება საქართველოში საუკეთესო მოდელია. შეიქმნა ახალი მოდელი – კრიპტოვალუტის მაინინგი, რამაც ბუმი გამოიწვია განსაკუთრებით ჩვენნაირ ქვეყნებში, სადაც სოციალური დონისა და ეკონომიკური განვითარების პრობლემებია. უცებ გაჩნდა კრიპტოვალუტით სწრაფად გამდიდრების ილუზია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. საქართველოში ძალიან ცოტამ იცის რა არის კრიპტოვალუტა და მას ყველა როგორც სწრაფი გამდიდრების საშუალებას ისე უყურებს. რისკები, რა თქმა უნდა, ბევრია, თუმცა, მნიშვნელოვანი ის, რომ თუ კრიპტოვალუტის შესახებ საკმარისი ცოდნა და ინფორმაცია არ გაქვს, მსგავს ოპერაციებში ინვესტირება შესაძლოა წამგებიანი აღმოჩნდეს. იგივე წარმატებით ადამიანს შეუძლია წავიდეს და კაზინოში დადოს ფსონი, – აღნიშნა პატარაიამ.

გია ხუხაშვილი: „ეს ზამთარი წინაზე მძიმე იქნება“

„ლარის კურსის სტაბილურობას გამოიწვევდა მხოლოდ ის, რომ ჩვენთან შემოდიოდეს სტაბილურად იმდენივე დოლარი, რამდენიც გაედინება“

ნონა ცაბაძე

ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **გია ხუხაშვილი** აფასებს.

– ბატონო გია, უმაღლესი თანამდებობის პირებისგან გვესმის შეფასებები, რომ ბიზნესი ყვავის ჩვენს ქვეყანაში, რომ გადავინაცვლეთ წამყვან პოზიციებზე და ასე შემდეგ. როგორია თქვენი შეფასებები?

– მე არც ზედმეტად ოპტიმისტი ვიქნებოდი და არც ზედმეტად პესიმისტი. დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა მიმართულებით და მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით ცდილობს, არაფერი გააფუჭოს. გაკეთებაზე ლაპარაკი საერთოდ არ არის. ესეც რაღაცას ნიშნავს, რომ ცდილობენ, არ გააფუჭონ. ერთი მხრივ, ჰუმანური ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას შევყავართ ჭაობში. არანაირი სისტემური რეფორმები არ ტარდება, ეკონომიკის რეალური სექტორის ტირაჟირება ძალიან სუსტია და ფრაგმენტული. ამიტომ ჩვენ მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკა არ გვაქვს. აი, ეს არის სამწუხარო რეალობა.

– ის, რაც დღეს ლარს სჭირს, ამ ყველაფრის გამოძახილია?

– რა თქმა უნდა, ლარიც იქცევა შესაბამისად. ლარის სტაბილურობის ერთადერთი ფუნდამენტია იმპორტ-ექსპორტი. ტურიზმი და ასე შემდეგ ან საახალწლო ინდაურები – ეს ყველაფერი არის სუბიექტური ფაქტორები. ეს არის რეალობა. ხელისუფლება დღეს რაზეც ლაპარაკობს, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება რეალობას.

თუნდაც სტატისტიკა რომ ავიღოთ, როდესაც, ერთი მხრივ, ხელისუფლება ხატავს, რომ ჩვენთან არის საინვესტიციო სამოთხე თუ არა, ოაზისი მაინც, ამ ფონზე ევროპაში გასული ჩვენი მოქალაქეების 6%-მა დაარღვია სავიზო რეჟიმი, ანუ შეგნებული უკანონობა ჩაიდინა. ამას ჩადიან

ადამიანები და ასეთ რისკზე მიდიან მხოლოდ მაშინ, როდესაც განსაკუთრებულად უჭირთ და, რაც მთავარია, ამ სტატისტიკაში მოხვედრილი ადამიანების უმრავლესობა არის 31-დან 40 წლამდე ასაკის შრომისუნარიანი, ყველაზე ამბიციური და ყველაზე აქტიური მოქალაქე.

ეს აბსოლუტური მაჩვენებელი 10 ათასი კაცია. 7 თვეში რომ 10 ათასი კაცი ასე გავა, კანონდარღვევით, ამხელა რისკზე წავა, შრომისუნარიანი და ენერგიული, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან საინვესტიციო წალკოტი არ არის.

– კვირიკა შვილი კი აცხადებს, რომ ყველაზაირი წინაპირობა არსებობს, რათა მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა იყოს.

– ყოველ წელს ერთი და იგივე ხდება, ყოველ წელს გვეუბნება ჩვენი ხელისუფლება, რომ ეს წელი იქნება გადამწყვეტი, გარდამტეხი და ასე შემდეგ. კარგით, რა! ყველა ხელისუფლება ასე იყო, ყოველ მომდევნო წელს აცხადებდა იბერიის გაბრწყინების წლად. რეალურად კი ისევ იმ რუს ფერებში ვცხოვრობთ, რაშიც ვცხოვრობდით.

– ხელისუფლებას რას ვერჩით, როდესაც ესტონეთის პრეზიდენტი გვიმტკიცებს, თქვენთან საშუალო ხელფასი 500 დოლარიაო. არის და ჩვენ არ ვიცით?

– სტუმარსაც ატყუებენ. გასაგებია, რომ თვითონ არ მოელანდებოდა ესტონეთის პრეზიდენტს ეს ციფრი. რა თქმა უნდა, ის იყო შეცდომაში შეყვანილი და მანაც ეს თქვა. 500 დოლარი ლამის ესტონეთშია, ცოტა მეტი. გაუკვირდა იმ ქალს და ვერც ის წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა, ასეთი ტყუილი ეთქვათ მისთვის და გაიმეორა, რა ექნა?!

– როდესაც ლარის გაუფასურებაზე ვსაუბრობთ, სხვადასხვაგვარი შეფასება გვესმის. ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კომერციული ბანკების მანიპულაციების ბრალია, ნაწილი ეროვნული ბანკის პოლიტიკას აკრიტიკებს. სად არის პრობლემის სათავე?

– ცოტ-ცოტა ალბათ ყველა მიზეზია, მაგრამ ეს მიზეზები მოკლევადიანია, შესაძლოა მნიშვნელოვანი კონკრეტული თემისთვის, მაგრამ სისტემური, ფუნდამენტური მიზეზი მაინც გახლავთ ის, რომ ეკონომიკა არ გვაქვს! ლარის კურსის სტაბილურობას გამოიწვევდა მხოლოდ ის, რომ ჩვენთან შემოდიოდეს სტაბილურად იმდენივე დოლარი, რამდენიც გაედინება. იმპორტიდან მიღებული შემოსავლები უნდა დააბალანსოს ექსპორტზე გატანილი პროდუქციიდან მიღებულმა შემოსავალმა. სხვა ყველაფერი სუბიექტური ფაქტორია.

ასე რომ, სანამ ჩვენი ეკონომიკა არ განვითარდება იმდენად, რომ კონკურენტული სისტემა შევქმნათ, მანამდე ეს პრობლემა მუდმივად იქნება. უნდა გვესმოდეს, რომ თუ ეკონომიკის რეალური სექტორი არ ავამუშავეთ, თანაც კონკურენტული, მანამდე სულ იქნება ეს თამაში.

– ამ პროცესში კომერციული ბანკების როლზე არაფერი გითქვამთ.

– რა თქმა უნდა, მე ვერ გამოვრიცხავ, რომ ბანკები, როგორც დაინტერესებული მხარე, ასეთი ტიპის ოპერაციებს ატარებდნენ. ამაზე შეგვიძლია ბევრი ვიდავოთ, მაგრამ ასეთია ბიზნესის ბუნება, თუ ხვდება, რომ შეიძლება იმაზე მეტის შოვნა, ვიდრე ამის შესაძლებლობა ექნებოდა სტაბილურ ვითარებაში, ბუნებრივია, ის მოგებაზეა ორიენტირებული.

– და მორალი?

– გასაგებია, რომ მორალური თვალსაზრისით ეს ძალიან მძიმედ გამოიყურება ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მაგრამ რა ვქნათ?! ასეთია სამყარო. როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ამ ყველაფერს უყურებს ზერელედ, ადმინისტრაციულ ბერკეტებს ნაკლებად იყენებს და ამით სარგებლობენ, ბუნებრივია.

– ბატონო გია, ლარის გაუფასურება ყოველთვის მწვავედ აისახება ხოლმე სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბეზე. წინ ზამთარია. როგორია თქვენი პროგნოზი?

– რა თქმა უნდა, ეს ზამთარი უკეთესი ნამდვილად არ იქნება. პირიქით, გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე გასული ზამთარი. მოსახლეობის ხარჯები გაიზარდა, იმიტომ, რომ ინფლაცია საკმაოდ სერიოზულია.

– 2.62-ს ასცდა ლარის ნიშნული.

– დიახ, სურათი მძიმეა. ხარჯები გაიზარდა და შემოსავლების ინდექსაცია არ მომხდარა. შესაბამისად, საშუალო სტატისტიკური ქართველი დამძიმდა. ბუნებრივია, ეს ზამთარი იქნება უფრო რთული, ვიდრე იყო წინა თუ იმის წინა!

ეროვნული ბანკი: „ლარის გაუფასურება დროებითია“

გუშინ ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსზე განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„როგორც არაერთხელ აღინიშნა, არსებული ინფორმაციის მიხედვით, კურსზე მოქმედი საშუალო და გრძელვადიანი ფაქტორები პოზიტიურია. მიმდინარე წელს სავალუტო შემოსავლები უმჯობესდება და ეს ტენდენცია მომავალ წელსაც გაგრძელდება. სექტემბრის მონაცემებით საქონლის ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლის განმავლობაში თითქმის 30%-ით, ხოლო ფულადი გზავნილები 20%-ით გაიზარდა.

წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვა დაბალანსებულად მიმდინარეობს. ეროვნულ ბანკს მთავრობასთან აქვს ყოველდღიური კომუნიკაცია და დარჩენილ პერიოდშიც არ არის მოსალოდნელი კურსზე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მხრიდან რაიმე უარყოფით გავლენა. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მთავრობის მიმდინარე სახაზინო ოპერაციები ან ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მართვის რეგულარული ოპერაციები არ ახდენს გავლენას კურსის დინამიკაზე.

ბოლო პერიოდში ლარის კურსის ცვლილება ძირითადად



შემოდგომაზე გაუფასურების მაღალმა მოლოდინმა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლოდინს რეალური ფუნდამენტური საფუძვლები არ გააჩნია, მან მცურავი კურსის პირობებში მაინც მოახდინა გავლენა ლარის კურსის მოკლევადიან დინამიკაზე, გაზარდა რა უცხოური ვალუტის მოთხოვნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლარის აღნიშნული გაუფასურება დროებითია. თუ ეროვნული ბანკი დაინახავს, რომ გაცვლითი კურსის ცვლილებამ მომავალში შეიძლება შექმნას ზეწოლა ინფლაციაზე, თავისი მანდატის შესაბამისად, ეროვნული ბანკი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს მაღალი ინფლაციის თავიდან ასაცილებლად. ფასების სტაბილურობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კურსის გრძელვადიან სტაბილურობას.

კიდევ ერთხელ გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რაც აუცილებელია ეკონომიკის გრძელვადიანი სტაბილური ზრდისა და დასაქმებისთვის. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ბაზრისთვის დამახასიათებელია კურსის მოკლევადიანი ცვალებადობა, მათ შორის მოლოდინებზე რეაგირება, რაც სავალუტო ბაზრის ბუნებრივი ქცევაა. ჩვენი მიზანია მინიმალური ჩარევა საბაზრო პროცესებში, თუმცა ეროვნული ბანკი ფლობს ადეკვატური რაოდენობის უცხოური ვალუტის რეზერვს, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გონივრულად მიმართავს“.

აკაკი ზოიძე: „ახალი კანონი მედიკამენტების რეგისტრაციას გააუმჯობესებს“

– მომზადდა ახალი ფარმაცევტული კანონი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მედიკამენტების რეგისტრაციისა და წამლის ხარისხის პროცედურების გაუმჯობესებაა.

– ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განაცხადა.

ზოიძემ ამ კონტექსტში წამლებზე ფასების რეგულირების საკითხზეც გაამახვილა ყურადღება.

– 2009 წელს ფარმაცევტულ კანონმდებლობაში განხორციელდა ძალიან კარგი ცვლილება, როდესაც დაიშვა იმ მედიკამენტების პარალელური იმპორტი, რომელიც რეგისტრირებულია და რომლის ხარისხი გადამოწმებულია ევროკავშირის ქვეყნებში. ამ შემთხვევაში ჩვენ იმის გარანტიას ვიღებთ, რომ ეს ნამდვილად ხარისხიანი წამალია. ამან გარკვეულწილად კონკურენციასა და ფასებზე იმოქმედა. დღეს საკმაოდ დიდი რაოდენობის მედიკამენტი შემოდის სწორედ პარალელური იმპორტის რეჟიმით.

ეს გვეხმარება იმაში, რომ მომხმარებელმა შედარებით ხელმისაწვდომი ფასით, მაღალი ხარისხის მედიკამენტი მიიღოს. იმავდროულად, არის ისეთი ქვეყნებიდან შემოტანილი მედიკამენტების ნაწილი, რომელიც რეგისტრირებულია კანონის ყველა პროცედურისა და ნორმის დაცვით, ნიმუშების მიხედვით არის შესაბამისი ხარისხის, მაგრამ რომელი ხვდება ბაზარზე, რომელი პარტია შემოდის, ჯანდაცვის სამინისტროს ამის გაკონტროლების საშუალება სრულად არა აქვს, – განაცხადა ზოიძემ პარლამენტის სხდომაზე.

მან ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ყველაფერი გაკეთდება ხარისხობრივი ცვლილებებისა და ხვრელების დახურვისათვის.

ზოიძემ პარლამენტს კომიტეტის მუშაობის ანგარიში წარუდგინა.

მაგთიმ ტელევიზიის პაკეტი გააძვირა

კომპანიამ აბონენტებს ახალი ფასის შესახებ უკვე აცნობა.

„6 ქართული ტელეარხის – რუსთავი 2, კომედი არხი, მარაო, იმედი, მაესტრო, GDS – ერთობლივი მოთხოვნით არხების რეტრანსლირება ტრანზიტორი ოპერატორებისთვის ხდება ფასიანი. ამის გამო მაგთიკომი იძულებულია, 1-ლი დეკემბრიდან გაზარდოს ტელევიზიის პაკეტის ფასი 2 ლარით, ყველა გადასახადის ჩათვლით. ტარიფის ცვლილება ეხება მაგთიკომის ტელევიზიის ყველა აბონენტს“, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 6 ტელეარხი, მათ შორის „იმედი“, „რუსთავი 2“ და „მაესტრო“, საკუთარი არხების რეტრანსლირებისთვის საკაბელო ოპერატორებს თანხას სთხოვენ, რასაც ავტორიზებული პირების ნაწილი არ ეთანხმება. აღნიშნული არხები კომპანია Media Rights Georgia-ში გაერთიანდნენ.



14 წლამდე ბიჭის გაუპატიურებისთვის ბრალდებულს 18 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობით, 14 წელს მიუღწეველი პირის გაუპატიურებისთვის ბრალდებულს 18-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულმა, რომელმაც იცოდა, რომ არასრულწლოვნის დედა საქართველოში არ იმყოფებოდა, გადაწყვიტა, მის შვილთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი.

2017 წლის იანვარში ბრალდებულმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ხელების გაკავებით დაძლია მისი წინააღმდეგობა და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. შემდეგ კი გააფრთხილა ბიჭი, არავისთვის ეთქვა მომხდარის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა, რომ მის დასაც გააუპატიურებდა.

სასამართლოს ცნობით, ძალადობის მუქარითა და ძალის გამოყენებით ბრალდებულმა სამჯერ გააუპატიურა მოზარდი.

ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათისა და დაზარალებულის ასაკის გათვალისწინებით, სასამართლო დახურულ რეჟიმში წარიმართა.

არსებითი განხილვის დროს ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ და არ დაეთანხმა წარდგენილ ბრალდებას.

„შენი ცოლის ინტიმურ ფოტოებში 5.000 დოლარი უნდა მომცე“

რა მოხდა ახალციხეში

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 1988 წელს დაბადებული თ.ი., გამოძალვის ბრალდებით, ახალციხეში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ახალგაზრდა მამაკაცს მისი ცოლის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების სოციალურ ქსელში განთავსების მუქარით 5.000 აშშ დოლარს სძალავდა.

სამართალდამცველებმა თ.ი. მანამდე დაიკავეს, ვიდრე მოქალაქე მას მოთხოვნილ თანხას გადასცემდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული რ.ტ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადირების პროცედურა შეიძლება 1 წელი გაგრძელდეს

გუშინ, 2 ნოემბერს, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მეგის ქარდავას დაკავების შესახებ განცხადება გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, დაკავებული საქართველოს მოქალაქე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე, 138-ე და 144-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო 2012 წლიდან იძებნებოდა.

„საქართველოს დაკავებულ მოქალაქეს თან აღმოაჩნდა სხვადასხვა სახელებზე გაფორმებული უკრაინის ორი, ლატვიის – ერთი და ბელიზის ერთი ყალბი პასპორტი, ასევე მეზღვაურის ყალბი დამადასტურებელი მოწმობა, რომლითაც ის უკრაინისა და სხვა ქვეყნების საზღვრებს კვეთდა.

ივანო-ფრანკოვსკის ოლქის გალიციკის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, საქართველოს მოქალაქეს 40-დღიანი პატიმრობა შეეფარდა. დაწყებულია სამშობლოში მისი ექსტრადირების პროცედურა“, – ნათქვამია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში.

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის თქმით, ყოფილი მეგის ქარდავას ექსტრადირების საკითხზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

– მეგის ქარდავა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზეა დაკავებული. ცნობილია დამნაშავედ მძიმე დანაშაულების ჩადენაში. ექსტრადიციის ვადებზე შეუძლებელია წინასწარ გათვლა, თუ როდის მოხდება მისი ექსტრადირება. დაველოდებით და აქტიურად ვითანამშრომლებთ უკრაინულ მხარესთან, რომ არა მხოლოდ მეგის ქარდავა, არამედ ყველა წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – განაცხადა გიორგი გოგაძემ.

მეგის ქარდავას ადვოკატი კი ამბობს, რომ დაკავების დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

მალხაზ ველიჯანაშვილის თქმით, ექსტრადირების პროცედურები უკრაინაში საკმაოდ მოცულობითია და დიდ დროს საჭიროებს.

– ამ ეტაპისთვის არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. მხოლოდ და მხოლოდ ის ვიცი, რაც ტელევიზიებით გავრცელდა. პროცედურებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ საკმაოდ მოცულობითი პროცედურებია და საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს. იქ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, როდესაც ენის არმცოდნეა, ადვოკატის ყოლა სავალდებულოა, მაგრამ არც ეგ ვიცი, ჰყავს თუ არა, იმიტომ, რომ არანაირი ინფორმაცია ამ საკითხზე არ გამაჩნია, – განაცხადა ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

ექსტრადიციის პროცესის შესაძლო გაჭიანურებას გაუსვა ხაზი პროკურორმა ნათია სონღულაშვილმაც.

– უკრაინის შიდა კანონმდებლობის მიხედვით, ექსტრადიციის პროცესი შეიძლება 1 წლამდე გაგრძელდეს, – განაცხადა მან „იმედის“ ეთერში.

მისივე განმარტებით, ქართული მხარე ელოდება უკრაინის კომპეტენტური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში წარსდგეს მეგის ქარდავა ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

– საქართველოს პროკურატურამ შეაგროვა და წარადგინა უკრაინის შესაბამის ორგანოებში ექსტრადიციის დადებითად გადაწყვეტისთვის საჭირო ყველა სამართლებრივი დოკუმენტი. ჩვენ ვართ მოლოდინის რეჟიმში, რომ საბოლოოდ მიღებულ იქნება მისი საქართველოში ექსტრადიციის გადაწყვეტილება, – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ მეგის ქარდავას წითელი ცირკულარით, ინტერპოლით ძებნა 2013 წელს გამოაცხადა.

❖ ❖ ❖

– არა მარტო მეგის ქარდავას, არამედ მთლიანი სისტემის დასჯას ვითხოვდით, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს მოკლული რომან სურმანიძის დედამ, ფატი სურმანიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, საქმის გამოძიება დროულად არ განხორციელდა.

როგორც ფატი სურმანიძემ აღნიშნა, ოჯახმა მომხდარის შესასწავლად ყველა ინსტანციას მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

– იმ ამბის გახსენება საერთოდ არ მინდა. მეგის ქარდავას დაკავებას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ამ დროის განმავლობაში საქმის გამოძიება არ მოხდა. დღეს რომ დააკავეს, ახლა გაახსენდათ ის ფაქტი?... ყველა ზომები მივიღეთ, ვის არ მივმართეთ, თუმცა უშედეგოდ. მთლიანი სისტემის დასჯას ვითხოვდით და არა მარტო მეგის ქარდავას, – განაცხადა ფატი სურმანიძემ.

კანიბალიზმის საქმე — 7 წელი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის

სასამართლომ კანიბალიზმის საქმეზე კიდევ ერთ პირს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, საქმე ეხება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულს, რომელსაც 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ბრალდებული ლუკა ჩ.-ს მიმართ და მას სასჯელის სახედ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„საქმის მასალების თანახმად, 2016 წლის 19 ოქტომბერს, ირმა ყ.-მ, ბექა შ.-მ და ნინა ჩ.-მ, განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად მოკლეს ირმა ყ.-ს დედა ლუბა ყ. და დანაშაულის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილის სხეული დაანაწევრეს. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შესახებ, ინფორმაცია ჰქონდა საქმეზე ბრალდებულ ლუკა ჩ.-ს. რომელმაც მომხდარი ფაქტის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

სასამართლო, საქმის მასალებში მოხსენიებულ არასრულწლოვან პირთა პირადი მონაცემების დაცვის მიზნით, დახურულ სხდომაზე გაეცნო მოწმეთა ჩვენებებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და საქმეზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ჩადენის ფაქტი.

სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებული თავადაც აძლევდა რჩევებს ზემოხსენებული მკვლელობის საქმეზე უკვე მსჯავრდებულ პირებს ირმა ყ.-ს, ბექა შ.-ს და ნინა ჩ.-ს, დანაშაულის დაფარვისა და გვამის განადგურების საკითხზე.

სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ დანაშაული ჩადენილია პირობითი მსჯავრის ქვეშ, წარსულში განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ამდენად წინა განაჩენით მოუხდელი ნაწილი ნაწილობრივ დაემატა ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს და განაჩენთა ერთობლიობით, ბრალდებულს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა“, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წინააღმდეგ მოქალაქის კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განიხილავს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს მოქალაქე დავით მალანიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განიხილავს.

სადავო ნორმების თანახმად, პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას შედეგად მოსდევს დიდი ოდენობით ჯარიმის დაკისრება, ავტომობილის მართვის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. პირს უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ორი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საქმეს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია.

დავის საგანი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და მეორე წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და „დ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვა – გადაზიდვის ფაქტზე, აზერბაიჯანის ერთი მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მისი მართვის ქვეშ მყოფი მსუბუქი ავტომანქანით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო გამშვები პუნქტი ,,წითელი ხიდის“ გავლით ცდილობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მალულად გადაეტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, საერთო ჯამში 62.000 ლარის საბაჟო ღირებულების, სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე ამოღებულია 716 ფირფიტა ფსიქოტროპული ნივთიერების – 3.000 გრ პრეგაბალინის შემცველი მედიკამენტი („ლირიკა“).

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, 261-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და 263-ე მუხლის მესამე ნაწილით“, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება იწყება?

მარიამ მჭედლიშვილი

მთიანი ყარაბაღის საკითხი, მიუხედავად ბრძოლების დროდადრო განახლებისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებთან ერთად კავკასიაში არსებულ დროებით გაყინულ კონფლიქტებად მიიჩნევა. მსოფლიოსთვის გაცილებით აქტუალურად ითვლება სხვა თემები.

მთიანი ყარაბაღის, იმავე არცახის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან.

ამ დღეებში მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი გაყინული ფაზიდან გამოდის.

სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის განცხადება ამ საკითხზე დაემთხვა აზერბაიჯანის აქტივობას გაეროში. სარგსიანმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მტკივნეული იქნება. მან აღნიშნა კომპრომისებზე წასვლის აუცილებლობა. ოპონენტები მოითხოვენ განმარტებას, რას ნიშნავს მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება და რა უნდა დათმოს სომხეთმა.

გაეროში აზერბაიჯანის მუდმივმა წარმომადგენლობამ ორგანიზაციის გენერალურ მდივან ანტონიუ გუტერიშს გაუგზავნა წერილი. მასში საუბარია მთიან ყარაბაღზე. ავტორების თქმით, სომხეთის აგრესია ამ კუთხეში მისი ოკუპაციით დასრულდა. ბაქო მოითხოვს, რომ ამის გამო სომხეთს დაეკისროს პასუხისმგებლობა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

ექსპერტები მთიანი ყარაბაღის მიმართულებით მოსალოდნელ სიახლეებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებასაც უკავშირებენ.

ოფიციალურად ამ ისტორიული სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვება 30 ოქტომბერს მოხდა. ცერემონიალში, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან ერთად, მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრი საგინტაევი.

ექსპერტების შეფასებით, პროექტის დამფინანსებლებს სჭირდებათ სტაბილურობა და მშვიდობა რეგიონში. ბაქო-თბილისი-ყარსის სატრანსპორტო დერეფანმა უნდა მიიღოს სტაბილური მაგისტრალის სტატუსი. ამიტომ მისი მონაწილე აზერბაიჯანი ამიერიდან გამორიცხავს ძალისმიერ მეთოდებს და კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით ეცდება.

ამ დერეფანს თავიდანვე ანიჭებდნენ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. პოლიტიკა ამ პროექტში ეკონომიკურ ეფექტურობაზე უფრო მნიშვნელოვნად ითვლება.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, რომელმაც პირველ ეტაპზე წელიწადში 6,5 მილიონი ტონა ტვირთი უნდა გადაზიდოს და მილიონამდე მგზავრი გადაიყვანოს, ყოველთვის არაეფექტიანად მიიჩნევდნენ სომხეთში. სომეხი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ის ვერ ამუშავდებოდა.

დღეს ისინი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. სომხეთში ისიც აწუხებთ, რომ მალე შეერთდება აზერბაიჯანისა და ირანის რკინიგზა და შეიქმნება რკინიგზების რკალი, რომელიც სომხეთისგან დამოუკიდებლად იმოძრავებს.

სომხეთს გამოსავლის ძიება ირანთან დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობით უნდოდა, მაგრამ 2008 წელს დაწყებული საუბარი ამ თემაზე ბოლო დროს შეწყდა. არ გამოვიდა ირანთან საავტომობილო გზის დაგებაც. მის მაგივრად გაჰყავთ ჩრდილოეთ-სამხრეთის ავტომაგისტრალი, რომლის მშენებლობაც გაჭიანურდა.

ამ სიტუაციამ სომხებს პოლიტიკოსისა და მწერლის, ვანო სირადეგიანის აფორიზმი გაახსენა. სირადეგიანის თქმით, სომხეთი ემსგავსება ათასი წლის ბრმა ბუს, რომელიც მაღალ ქვაზე დიდი გზების გზაჯვარედინზე ზის.

„ახალი აბრეშუმის გზის“ ფარგლებში სატრანსპორტო პროექტებში აქტიურად ჩართვის პრეტენზია აქვს რუსეთს. ამ მხრივ ჯერ ყველაფერი განხილვის სტადიაზეა.

რუსეთის გვერდის ავლით ამოქმედებული ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აბრეშუმის გზის ნაწილად ითვლება. ამ დერეფნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჩინეთიდან კონტეინერული გადაზიდვებია. ამავე გზით თურქეთში მოხვდება თხევადი გაზი კასპიისპირა ქვეყნებიდან, ასევე ნავთობპროდუქტები აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან. პროექტში, ჩინეთისა და უშუალო მონაწილეების გარდა, ცენტრალური აზიისა და ევროპის სახელმწიფოებიც ჩაერთვებიან.

კახა კალაძე: „ყვითელი ავტობუსები არის სასწრაფოდ ჩასანაცვლებელი, კრიტიკას ვერ უძლებს“

– ყვითელი ავტობუსები არის სასწრაფოდ ჩასანაცვლებელი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის ახლად არჩეულმა მერმა კახა კალაძემ განუცხადა, რომელმაც დედაქალაქში რამდენიმე ავტობუსით იმგზავრა.

კალაძის თქმით, პირადად გაეცნო როგორც ე.წ. ყვითელ, ასევე ახალ ავტობუსებში არსებულ მდგომარეობას.

– ვიყავი მეტროში, ვნახე ავტობუსების მდგომარეობაც. კარგად ჩანს, რომ ყვითელი ავტობუსები არის სასწრაფოდ ჩასანაცვლებელი. ძალიან დიდი სხვაობაა ახალ, ლურჯ ავტობუსებსა და ყვითელ ავტობუსებს შორის, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. შესაბამისად, ძალიან მალე განვახორციელებთ პროექტს, რომლის მიხედვითაც ჩანაცვლდება ე.წ. ყვითელი ავტობუსები ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული ავტობუსებით, – განაცხადა კალაძემ.

2017 წლის 1-ელ ნახევარში მედიკამენტები 7.2%-ით გაძვირდა

2017 წლის ივნისის მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში ჯანდაცვაზე ფასები 4.3%-ით არის მომატებული. ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით საქსტატის ცნობით, საანგარიშო პერიოდში ფასების ცვლილება დაფიქსირდა შემდეგ მომსახურებასა და პროდუქციაზე: ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა 5.2%-ით; საავადმყოფოების მომსახურება – 0.5%-ით, სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა კი – 7.2%-ით გაძვირდა.

შუაფხოს სკოლას სამი მოსწავლე დაუბრუნდა



– უკანაფშავში სამი ბავშვი დაგვბრუნდა. ეს სამი ბავშვი სამი ოჯახია. სკოლა ბავშვებისგან არ დაიცლება და სოფელი – მოსახლეობისგან, – შუაფხოს სკოლის დირექტორი ირმა ცქიფაშვილი დარწმუნებულია, რომ სრული საშუალო სკოლა სოფლის გადარჩენას ხელს შეუწყობს.

შუაფხოს სკოლა წლების განმავლობაში 9-კლასიანი იყო. საშუალო განათლების მისაღებად ბავშვებს უკანაფშავიდან მაღაროსკარის ან ბარისახოს სკოლებში გადასვლა და უმეტეს შემთხვევაში პანსიონებში, მძიმე პირობებში ცხოვრება უწევდათ. რამდენიმე ოჯახი, რომელმაც შვილის პანსიონში გაშვებაზე უარი თქვა, უკანაფშავიდან ბარის სოფლებში გადასახლდა.

– თუ ჩვენ სკოლას მე-10, მე-11 და მე-12 კლასი არ დაემატებოდა, მაშინ მე და ჩემი ოჯახიც ვფიქრობდით რომ წავსულიყავით, – გიორგი ელიზბარაშვილსა და მის მეგობრებს უკანაფშავის დატოვება აღარ მოუხდათ. განათლების მინისტრმა მათი თხოვნა გაითვალისწინა და შუაფხოს საჯარო სკოლას მე-10, მე-11 და მე-12 კლასები დაემატა. გიორგიმ და მისმა თანაკლასელებმა ალექსანდრე ჯეჯელავას „მთის ამბების“ საშუალებით 2017 წლის 4 იანვარს მიმართეს.

როგორც კი ცვლილების შესახებ შეიტყო, მაღაროსკარიდან შუაფხოს სკოლაში დაბრუნდა ირმა ცოკილაური. ახლა ის შუაფხოს სკოლის მე-11 კლასის ერთადერთი მოსწავლეა.

– შუაფხოში საშუალო სკოლა არ იყო. ამიტომ მომიწია მაღაროსკარში გადასვლა და მე-10 კლასის იქ დამთავრება. შემდეგ ძალიან სასიხარულო ამბავი მოხდა, აქ საშუალო სკოლა გაიხსნა და ახალი სასწავლო წლიდან მე და კიდევ ორი ბავშვი სოფელში დავბრუნდით.

სოფელ თხილიანაში მცხოვრებ ზაზა ქოჩაშვილს, შუაფხოს სკოლის სპორტის მასწავლებელს, სჯერა, რომ იქ გაზრდილი და სკოლადამთავრებული ბავშვები უფრო მეტად შეძლებენ მთაში დამაგრებას:

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია ხეობისთვის, თითოეული ოჯახისთვის, სადაც ბავშვები იზრდებიან და თვითონ ბავშვებისთვის, რომ მიეცათ შესაძლებლობა მშობლებთან, ოჯახთან ერთად იყვნენ. მეტი შანსია, რომ აქ გაზრდილი ბავშვი აქვე დამკვიდრდეს, აქ დაოჯახდეს და მთა არ დაიცალოს. ჩემ შვილებს აქ არ უსწავლიათ, სკოლა რაიონში დაამთავრეს, ზაფხულში კი ჩამოდიან ცოტა ხნით, მაგრამ დიდხანს აქ ყოფნას უკვე ვეღარ ეგუებიან.

ამ დროისთვის შუაფხოს სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მიმდინარეობს.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, უკანაფშავის თემში – სულ 143 ადამიანია რეგისტრირებული: 53 სოფელ თხილიანაში, 35 შუაფხოში, 15 უძილაურთაში, 13 მუქოში, დანარჩენ სოფლებში რამდენიმე ადამიანია, მაგალითად, ელიაგზაში, ჩალახევსა და ჭიჩოში თითო-თითო ადამიანი შემორჩა.

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

გია გეგუჩაძემ ექსპერიმენტს მიმართა და ბეწვის ხიდზეა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩებში 10 და 14 ნოემბერს, შესაბამისად, ფინეთსა და ლიტვას უმასპინძლებს. ორივე შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

გია გეგუჩაძის გუნდი 6 ნოემბრიდან შეკრებას დაიწყებს. მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია ის ფეხბურთელები, რომლებიც ფინეთთან და ლიტვასთან სათამაშოდ მოემზადებიან.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ გამოძახებულთა შორის არ არიან გიორგი არაბიძე, რომელიც ეროვნული ნაკრების კანდიდატად მოიაზრება და არ არის ახალგაზრდულ ნაკრებში. მიზეზს ვერ გეტყვით, მაგრამ გასაკვირია ნაკრებს მიღმა გიორგი ჩაკვეტაძის არყოფნაც.

გეგუჩაძეს თავისი ხედვები კი აქვს, მაგრამ ამ ხედვებმა ახალგაზრდულ ნაკრებს 3 მატჩიდან სამივე წააგებინა. მათ შორის, ერთი ფარერის კუნძულების გუნდთან. შედეგზე პასუხისმგებელი ყოველთვის მწვრთნელია და თავმოყვარე სპეციალისტი ფარერების შემდეგ ნაკრებიდან გადადგებოდა, მაგრამ მას ფედერაციაც ენდო. ვნახოთ რას გამოიტანს ეს „ნდობა“ უახლოეს თამაშებში, რომელსაც ლიდერების გარეშე ჩავატარებთ.

ფაქტი ის არის, რომ გეგუჩაძეს ყველა ექსპერიმენტი ბეწვის ხიდია...

გეგუჩაძის კრებული ასე გამოიყურება:

მეკარეები: ლაზარე კუპატაძე, ოთო გოშაძე (საბურთალო), ღევან შოვნაძე (დინამო ბთ);

მცველები: გრიგოლ ჩაბრაძე, გაგი მარგველაშვილი, ცოტნე ნადარაია (ყველა საბურთალო), რომან ჩაჩუა (შუქურა), ლუკა ლოჩოშვილი (დინამო, უკრაინა), ჯემალ ტაბიძე (უფა, რუსეთი), აკაკი შულაია, დავით კობოური (ორივე დინამო თბ);

ნახევარმცველები: ვლადიმერ მამუჩაშვილი, გიორგი ხარაიშვილი (ორივე საბურთალო), ნიკოლოზ ბაშალეიშვილი (თელავი), ლადო მოხვიშვილი (ალკოიანო, ესპანეთი), გიორგი ზარია, ოთარ კიტეიშვილი, ბექა მიქელთაძე (ყველა დინამო თბ), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა);

თავდამსხმელები: რომან ჭანტურია (პრატო, იტალია), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (ლოკომოტივი).

საქართველოს თასის ფინალში ტორპედო და ჩიხურა ითამაშებენ

ტორპედო-დინამო (თბ) 0:0 (5:43)

ქუთაისი. რამაზ შენგელია

პენალტების სერია: 0:1 კიტეიშვილი, 1:1 კუტალია, 1:2 გეგეჭკორი, 2:2 კუხიანიძე, 2:2 შულაია (ააცილა), 3:2 ბაბუნაშვილი, 3:3 ძავთარაძე, 3:3 გურული (ხარიხა), 3:4 თოთაძე, 4:4 დოლიძე, 4:4 კობოური (მეკარე), 5:4 ტაბატაძე

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, მამასახლისი (გიგაური 80), კაპანაძე (ბერიაშვილი 74), კუხიანიძე, ფალავანდიშვილი (ბაბუნაშვილი 105), გ.გურული, კუტალია, დოლიძე, ქიმაძე

დინამო: ლიტოვჩენკო, თოთაძე, გეგეჭკორი, ქარდავა, ზარია (ქოჩლაძე 68), კიტეიშვილი, მიქელთაძე (კვარაცხელია 62), შულაია, სალუქვაძე, კობოური, ქავთარაძე

ქუთაისის ტორპედომ დაძაბულ და ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა თბილისის დინამო და საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში გავიდა, საც გასულ სეზონში მოპოვებული ტიტულის დაცვას შეეცდება.

მატჩი უინტერესო ნამდვილად არ ყოფილა, ბურთი მოედნის ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა და ორივე გუნდი ცდილობდა სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენებას.

პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი დინამოსი იყო, როდესაც ლაშა სალუქვაძე თავით ვერ შესწვდა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს. ზუსტად ასეთივე მომენტი ჰქონდა ლევან კუტალიასაც, რომელსაც თავით დარტყმა გაუჭირდა. მალევე ისევ კუტალია ცდილობდა თავით გატანას, მაგრამ კარს ააცილა. იმავეთი უპასუხა გიორგი ზარიამ.

შემდეგ იყო გრიგოლ დოლიძის გასროლა, რასაც კუთხური მოჰყვა. რამდენიმე წუთში ტორპედომ ჯარიმის ზღვარზე შეაჩერა დინამოს შეტევა, ლაშა თოთაძის დარტყმული კი როინ კვასხვაძემ მოიგერია.

23-ე წუთზე დინამო გადარჩა – თორნიკე კაპანაძემ 6-7 მეტრიდან ააცილა კარს...

ამის შემდეგ სახიფათო მომენტებმა და სიმწვავემ იკლო და ტრიბუნები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ, როდესაც დოლიძის უძლიერესი გასროლა კუთხურზე უკუაგდო ლიტოვჩენკომ. ეს ტაიმის მიწურულს მოხდა და პირველი ნახევარიც უგოლოდ დამთავრდა.

მეორე ტაიმი ქუთაისელთა შეტევებით დაიწყო და ლიტოვჩენკომ ისევ იხსნა თავისიანები, ამჯერად გუგა ფალავანდიშვილის გასროლის შემდეგ. ამ მომენტს დინამოს კართან კუთხური მოჰყვა, რომელიც დოლიძემ წინა ძელთან ჩააბზრიალა და დინამო კარის ჩარჩომ იხსნა.

მატჩის ბოლომდე სახიფათო მომენტები ნაკლებად იქმნებოდა, რადგან გუნდები გარისკვას ვეღარ ბედავდნენ და შეცდომებს ელოდნენ. სწორედ კვასხვაძის შეცდომას უნდა მოჰყოლოდა გოლი ტორპედოს კარში, მაგრამ ქავთარაძის ცარიელ კარში დარტყმული ბურთი გზად გურულს შეეხო და ასცდა... შემდეგ შეცვლაზე შესული ლაშა ქოჩლაძის უძლიერესი დარტყმა კვასხვაძემ მოიგერია. გუნდებმა ვერც დარჩენილ დროში მოახერხეს გატანა და ფინალისტის გამოსავლენად კიდევ 30 წუთი გახდა საჭირო.

დამატებითი დროის დასაწყისში დოლიძეს ორჯერ შეეძლო გატანა, ორივეჯერ ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა კარს. ეს იყო და ეს – ტორპედო ბურთს ფლობდა და მატჩის მიმდინარეობას აკონტროლებდა, მაგრამ სახიფათო მომენტის შექმნას ვერ ახერხებდა. დინამო კი დამატებით დროში ტორპედოს ნახევარზე პრაქტიკულად არ გადასულა და პენალტების იმედად იყო.

საქმე პენალტებამდე მართლაც მივიდა, მაგრამ აქ უკვე ტორპედოს გაუმართლა. საწყის ხუთეულში მხოლოდ აკაკი შულაიამ და გიორგი გურულმა ვერ გაიტანეს, შემდეგ დავით კობოურს აუღო კვასხვაძემ, ხოლო ვაჟა ტაბატაძემ საფინალოდ დაარტყა...

იმერეთი-ჩიხურა 0:5

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

0:1 კაკუბავა (18), 0:2 ტატანაშვილი (23), 0:3, 0:4 სარდალიშვილი (36, 78), 0:5 ტატანაშვილი (88)

იმერეთი: ჯოხაძე, ლობჟანიძე, გაბუნია, კოხრეიძე (აშვეთია 63), საღარეიშვილი, ხმელიძე (ძაძამია 83), სულაძე, ხანთაძე (კუხალაშვილი 46) ხელაძე, ნიკურაძე, მანაგაძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, გაბედავა, სარდალიშვილი, კორიფაძე, ტატანაშვილი, კაკუბავა (ფონიავა 59), ივანიშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (განუგრავა 59), გორგიაშვილი (ცხადაძე 74)

წყვილის ფავორიტად საჩხერის ჩიხურა იყო მიჩნეული და საბოლოოდ ასეც მოხდა – ზემოიმერული გუნდი მესამედ გავიდა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში.

ჩიხურამ საქმე პირველი ტაიმში გადაწყვიტა და ტურნირის უმთავრეს სენსაციატორს, ხონის იმერეთს იოლად მოუგო. ხონელთა სასახელოდ გვინდა ვთქვათ, რომ პირველი გუნდია, რომელიც მესამე ლიგელის სტატუსით ნახევარფინალში გავიდა.

ფავორიტმა დასაწყისშივე აქტიურად დაიწყო და მე-4 წუთზე სარდალიშვილმა ხარიხას გაარტყა ბურთი. ამის შემდეგაც ბურთს ჩიხურა აკონტროლებდა და მე-18 წუთზე გოლიც გავიდა – ჩიკვაიძის ჩაწოდების შემდეგ კაკუბავამ თავით დააწინაურა სტუმრები – 0:1. მალევე ივანიშვილის ჩაწოდების შემდეგ უკვე ტატანაშვილმა დაჰკრა თავი საგოლედ – 0:2.

ხონელებს უჭირდათ მეტოქის ნახევარზე გადასვლა და კარის მიმართულებით პირველად 34-ე წუთზე დაარტყეს, ისიც ძალიან არაზუსტად. 36-ე წუთზე სარდალიშვილის ანგარიში გამანადგურებელი გახდა – 0:3.

პირველივე ტაიმში მირცხულავას და ივანიშვილს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ძალიან ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში ჩიხურასაც აღარ მოუკლავს თავი. ბურთს მშვიდად აკონტროლებდა, იმერეთი კი იშვიათად ახერხებდა მათ ნახევარზე გადასვლას, მაგრამ არცთუ სახიფათოდ.

78-ე წუთზე სარდალიშვილმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა, საკუთარი ნახევრიდან ეულად ირბინა და დუბლი გაიფორმა – 0:4.

სარდალიშვილი მალევე ასისტენტად მოგვევლინა და დუბლი ტატანაშვილსაც გააფორმებინა – 0:5. ამ გოლს წინ უძღოდა იმერეთის ერთადერთი საგოლე მომენტი მთელ მატჩში, როდესაც ძაძამიამ ძელს გაარტყა ბურთი, რის შემდეგ ჩიხურამ ხონელები კონტრშეტევაზე დაიჭირა.

არასტაბილური სოხუმი და მოუგებელი დელტა

ბათუმი-სოხუმი 83:64

სოხუმელებმა წინა შეხვედრაში ლიდერ დინამოსთან ღირსეულად იბრძოლეს და ბოლო წუთებზე დამარცხდნენ. იმ დასანანი წაგების შემდეგ სოხუმელები ამბიციით ჩავიდნენ ბათუმში, თუმცა გასული სეზონის შემდეგ გაძლიერებულ ზღვისპირელებთან ვერას გახდნენ.

თანაბარი ბრძოლა მეორე პერიოდამდე გაგრძელდა. საწყის წუთებზე მოპოვებული ლიდერობა სოხუმელებმა მალე დაკარგეს, პირველი პერიოდი 17:19 დათმეს და მეორე მეოთხედში მასპინძლებს გვარიანად ჩამორჩნენ – 33:44.

დიდი შესვენების შემდეგ სოხუმელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ანგარიშში დეფიციტი არათუ შეამცირეს, კიდევ უფრო მეტად ჩამორჩნენ.

ბოლო პერიოდის წინ ბათუმი 15 ქულით ლიდერობდა და დასკვნითი მეოთხედი ისე ითამაშა, საფრთხე არ დამუქრებია. საბოლოოდ ზღვისპირელებმა 19 ქულით იმარჯვეს და სუპერლიგის ლიდერებში გაერივნენ. ზღვისპირელებს 3 მოგება და 1 წაგება აქვთ, ისევე როგორც ოლიმპსა და ქუთაისს. ლიდერი დინამოა – 3 მატჩიდან 3 მოგებით.

სტატისტიკაში არსებულ ყველა მაჩვენებელში ბათუმელებმა სტუმრებს აჯობეს. მხოლოდ ჩაჭრებსა და დაფარებებში იყვნენ სოხუმელები მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

აჭარულ გუნდს უკრაინელმა ილია შემოსიუკმა და ვახტანგ ქადარიამ ულიდერეს. უკრაინელმა 24 ქულა მოაგროვა, ვახტანგ ქადარიამ 20 ქულას 8 მოხსნა და 3 პასიც მოაყოლა, ხოლო ნოდარ თენიეშვილმა 10 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი დააგროვა. სოხუმში 18 ქულით საუკეთესო იყო კვან უოლერი. გიორგი კვეტენაძემ და სერგეი პრიმაკმა შეხვედრა 12-12 ქულით დაასრულეს.

დელტა-მგზავრები 85:88 (ოტ)

დელტას მგზავრებისთვის მარნეულში უნდა ემასპინძლა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო ეს შეხვედრა დედაქალაქში გაიმართა.

დაძაბულობის მხრივ, ეს მატჩი ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული გამოდგა მიმდინარე სუპერლიგაში. გამარჯვებული ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა და შეხვედრა ახლოს იყო მეორე ოვერტაიმთან, თუმცა მარნეულელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, რომლის სამქულიანით დელტამ ოვერტაიმამდე მიიყვანა საქმე, ბოლო წამებზე მეორე საჯარიმო ვერ ჩააგდო და შეხვედრა მეორე დამატებით დროში ვეღარ გადაიყვანა.

მარნეულელები ბოლო პერიოდში 12 ქულით იგებდნენ, თუმცა სოლიდური უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, რაც მგზავრების სწრაფი და გუნდური თამაშის დამსახურება გახლდათ. გადამწყვეტ ეპიზოდებში გამორჩეულად ითამაშეს მგზავრების უკანახაზელებმა – სანდრო სანაძემ, დერონ პაუერსმა, გრეგორი ტაკერმა, რომლებსაც სამწამიან ზონაში შედეგიანობით ირაკლი ალხანაიძეც შეეშველა და მიმდინარე სეზონში მე-2 გამარჯვება მოიპოვეს. რაც შეეხება დელტას, 5 წაგების მქონე სუპერლიგის დებიუტანტებს მოგება ჯერ არა აქვთ.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

შედეგები

1 ნოემბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

სევილია-სპარტაკი	2:1
ლივერპული-მარიბორი	3:0
ნაპოლი-სიტი	2:4
შახტარი-ფეიენოორდი	3:1
ბეშიქთაში-მონაკო	1:1
პორტუ-ლაიპციგი	3:1
ტოტენჰემი-რეალი	3:1
დორტმუნდი-აპოელ	1:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ბრენტფორდი	0:2
პრესტონი-ასტონ ვილა	0:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიმნასტიკი-ბარსელონა ბ	0:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა
პლეი აუტი

ჰონკა-ჰიფკი	0:0

საბურთალო ევროპას აოცებს — ფრე სერბეთიდან

ბროდარაცი-საბურთალო 1:1

სტარა პაზოვა. სპორტ ცენტრი

1:0 კოსიჩი (20), 1:1 ნიკოლაშვილი (82)

ბროდარაცი: ზრდავკოვიჩი, დურიჩი, გოლუბოვიჩი, კოჯიჩი, ივანჩევიჩი, ჯოკოვიჩი, მიტროვიჩი, ს.ლუკიჩი, ბაბოვიჩი (მ.ლუკიჩი 76), ტოდესკი (პეიჩი 72), კოსიჩი (სტოიანოვიჩი 60)

საბურთალო: ნასყიდაშვილი, მალი, ხუბაშვილი, ჯინჯოლავა, ტაბატაძე (კაპანაძე 63), ივანიაძე, ფურცელაძე, ნიკოლაშვილი, ჩოთალიშვილი (გულიაშვილი 46), ჯავახიშვილი (ხარაიშვილი 88), კოხრეიძე.

უეფას ახალგაზრდული ლიგის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში საბურთალო სტუმრად სერბეთის ბროდარაცს დაუპირისპირდა და შეხვედრა 1:1 დასრულდა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს, გოლი კოსიჩმა გაიტანა, ხოლო 83-ე წუთზე ბექა ნიკოლაშვილმა გამთანაბრებელი გოლი გაიტანა.

პირველ ნახევარში დედაქალაქურ გუნდს არ გამოუვიდა თამაში და ძირითადად კონტრშეტევებზე ცდილობდა იერიშების წამოწყებას, თუმცა მეორე ტაიმში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ და კარის აღების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა შეექმნათ.

სერბები მე-20 წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა დურიჩი, შემდეგ კოსიჩი მოძებნა, რომელმაც ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ცოტა ხანში ბექა ნიკოლაშვილმა დაარტყა შორი მანძილიდან, მაგრამ მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს.

მეორე ნახევარი მთლიანად საბურთალოსი იყო. შესვენებაზე გადაადგილებებსა და ცვლილებებს მიმართა რევაზ გოცირიძემ: ჯერ გიორგი გულიაშვილი ჩართო თამაშში, შემდეგ – ცოტნე კაპანაძე.

ერთ-ერთ ეპიზოდში ბექა ნიკოლაშვილის დარტყმული ბურთი მეკარე ზდრავკოვიჩმა მოიგერია, შემდეგ კი ცოტნე კაპანაძემ დაარტყა საჯარიმოს გარედან, მაგრამ მეკარემ ბურთი კუთხურზე გადააგდო. რამდენიმე წუთში იმავე კაპანაძის „მაკრატელას“ ზდრავკოვიჩი დაეუფლა.

საბურთალოს იერიშებმა შედეგი 83-ე წუთზე გამოიღო, როდესაც ნიკოლოზ მალიმ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, გიორგი გულიაშვილმა ერთი შეხებით ბექა ნიკოლაშვილს გადაუმისამართა და კუთხე დროულად ჩაკეტა – 1:1.

დარჩენილი დრო საბურთალომ შეტევაში გაატარა, თუმცა შეხვედრაში გოლი აღარ გასულა.

ამ გუნდებს შორის განმეორებითი მატჩი 22 ნოემბერს თბილისში გაიმართება.

რევაზ გოცირიძე:

– ვფიქრობ, სტუმრად ფრე ნორმალური შედეგია. პირველი ტაიმი არ იყო ისეთი, როგორიც ჩვენ გვქონდა დაგეგმილი, თუმცა მეორე ნახევარში გამოვასწორეთ მდგომარეობა და მთლიანად ჩვენი უპირატესობით წარიმართა დარჩენილი დრო. კაპანაძე და გულიაშვილი თადარიგში იმიტომ დავტოვე, რომ 17 წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდნენ, ორივე მათგანმა სამივე შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. გადაღლილები იყვნენ და დასვენების საშუალება მივეცით. გათვლა გვქონდა, რომ მეორე ნახევარში შეგვეყვანა. მეტოქე ხისტ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს. მებრძოლო გუნდია, სერბები გამორჩევიან ბრძოლისუნარიანობით. – რთული იქნება განმეორებითი შეხვედრა. გავაანალიზებთ დღევანდელ მატჩს, სასურველ ტაქტიკას ავირჩევთ და იმ ფეხბურთის თამაშს ვეცდებით, რასაც ჩვენი კლუბი თამაშობს.

პროექტები, რომლებმაც თუშურ სოფლებში ხალხი დააბრუნა

თუშეთში პირველად 2001 წელს მოვხვდი, როცა მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი კარვებითა და ღამის საძილე ტომრებით აღვიჭურვეთ და საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ურთულეს გზას დავადექით.

იმ პერიოდში თუშეთში მოხვედრა მხოლოდ საბჭოთა კამაზით იყო შესაძლებელი და ალვანიდან ომალომდე ასასვლელი 85-კილომეტრიანი საავტომობილო გზის დაფარვას თითქმის ნახევარი დღე სჭირდებოდა. ომალოში ჩასულები კი საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ეს თვალწარმტაცი კუთხე აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო გარესამყაროს, ცივილიზაციას, თანამედროვეობას. პირიქითა თუშეთის არც ერთ სოფელში არც დენი იყო, არც წყალი, არც სასტუმრო და არც იმის საშუალება, რომ პური მაინც გვეყიდა. მახსოვს, ერთი საღამო თბილისიდან წამოღებულ შოკოლადებზე გადავატარეთ...

მეორედ თუშეთში ამ ზაფხულს ვიმოგზაურე. გულწრფელად ვიტყვი, რომ განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველოდი, მაგრამ 16 წლის წინანდელი ჩემი დაუვიწყარი თუშური თავგადასავალი რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა იმისგან, რაც „გათანამედროვებულ“ თუშეთში დამხვდა. თითქმის ყველა ადგილობრივს, რომლებიც თუშეთში მხოლოდ სეზონზე ამოდიან, საოჯახო სასტუმრო აქვს მოწყობილი. სასტუმროებში დენი და ცივი/ცხელი წყალია, თუშურ სოფლებში დღეს უპრობლემოდ იშოვით ნებისმიერ პროდუქტს. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ტურისტმა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიიღოს. ამიტომაც წლიდან წლამდე ტურისტების რიცხვი მატულობს, რის პარალელურადაც, ცხადია, თუშების ამ სფეროში დასაქმებაც იზრდება.

თუშეთის სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ადგილობრივების ტურიზმის სფეროთი დაინტერესებაში ლომის წილი ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასს საქართველოში“ მიუძღვის.

სწორედ მათი დახმარებით თუშეთის სოფლებში რამდენიმე წლის წინ მზის ენერგიის ათვისება დაიწყეს. პროექტი ჩეხეთის განვითარების სააგენტომ დააფინანსა.

მზის პანელებისა და ბატარეების დამონტაჟებამ თუშებს საშუალება მისცა, საკუთარი, მცირე ბიზნესი წამოეწყოთ და ტურიზმის სფეროში დასაქმებულიყვნენ. შედეგად სოფლებში გაჩნდა საოჯახო სასტუმროები, სადაც დენიც არის და ცხელი წყალიც.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც „კარიტასის“ მხარდაჭერით განხორციელდა, თუშეთში კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობაა. კოოპერატივებმა საშუალება მისცა ადგილობრივებს ერთმანეთის თანადგომით და სწორი აგროტექნიკური მიდგომებით უფრო მეტი პროდუქტი მოეყვანათ და ტურისტებისთვის თავიანთი მოყვანილი ნატურალური პროდუქტი შეეთავაზებინათ. ყველაფერმა ერთად – მზის პანელებმა, კოოპერატივებმა და საოჯახო სასტუმროებმა დღეს თუშეთი ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველ მხარედ აქცია, ადგილობრივებს კი შემოსავლის სტაბილური წყარო გაუჩინა.

ნათია ბაკურიძე ერთ-ერთია იმ თუშებიდან, რომელმაც „კარიტასის“ დახმარებით ბიზნესი გააფართოვა.

დღეს თუშეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასტუმრო „შინა“ ნათიამ 2010 წელს გახსნა. სასტუმროში მისი ორი შვილი და რამდენიმე ადგილობრივია დასაქმებული. რამდენიმე თვის წინ ნათია ბაკურიძემ „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის“ დახმარებით საკონდიტრო ღუმელი შეიძინა, რომელშიც სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმის, პურისა და პიცის გამოცხობაა შესაძლებელი, ასე რომ, თუ რაიმე, ჩემთვის წარმოუდგენელი მიზეზის გამო, ქართული სამზარეულო ვერ დაგაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ თუშური პიცა დააგემოვნოთ.

– ღუმლის შეძენის შემდეგ სასტუმროში სტუმრების რაოდენობა 15%-ით გამეზარდა, რადგან, სერვისთან ერთად, მათ ახალგამომცხვარ პურსა და საკონდიტრო ნაწარმს ვთავაზობთ. შესაბამისად, ეს ყველაფერი აისახა შემოსავლების ზრდაზეც, – ამბობს ნათია ბაკურიძე, რომელიც საკონდიტრო ნაწარმით მეზობელ სასტუმროებსა და კაფეებსაც ამარაგებს.

სასტუმრო „შინას“ დღეს უკვე კარგად იცნობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დღეს ყველა ჩვენგანი, სანამ სადმე დაბინავებას გადაწყვეტდეს, ინტერნეტში კითხულობს რეცენზიებს ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ჰოდა, ამ საქმეში მსოფლიოს ნომერ პირველ პორტალ Booking.com-ზე, სასტუმრო „შინა“-ს, არც მეტი, არც ნაკლები, სისუფთავის რეიტინგში 10-დან 9.2 ქულა აქვს, ხოლო მდებარეობას კი 9.4 ქულა.

ომალოს კიდევ ერთი მკვიდრი, ეთერ მარხვაიძე, ჰოსტელ „ტიშეს“ გარდა, მაღაზიის მფლობელია, რომელიც მყიდველს მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობს. ჩეხური მხარის დახმარებით ეთერ მარხვაიძემ მზის პანელები შეიძინა. მუდმივმა დენმა კი საშუალება მისცა, ჰოსტელი სრული დატვირთვით აემუშავებინა. ჰოსტელის სტუმრებსა და კარვებში გაჩერებულ სხვა სტუმრებს სამრეცხაოს, შხაპსა და Wi-Fi-ის სთავაზობს.

– მას შემდეგ, რაც დენი მაქვს, შემოსავლები გამიორმაგდა. შემიძლია უფრო მეტი პროდუქტი მოვიმარაგო და მაცივრებში შევინახო. ადრე მაწონს ვადედებდი, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით და მოგებაზე ვერ გავდიოდი. მას მერე, რაც მაცივრები მაქვს, მაწვნის გაყიდვებითაც მოგებაზე გავედი. ყველაფერმა ერთად საშუალება მომცა მომსახურების ხარისხი გამეუმჯობესებინა, – გვითხრა ეთერ მარხვაიძემ.

კოოპერატივი „თუშეთი 2015“ ერთ-ერთია იმ რამდენიმე კოოპერატივს შორის, რომელიც „კარიტასის“ ხელშეწყობით დაფუძნდა და განვითარდა. კოოპერატივში ექვსი ომალოელი ოჯახია გაერთიანებული. გარდა ამისა, „კარიტასმა“ ხელი შეუწყო სოფელ ომალოში სავაჭრო ჯიხურის მშენებლობას „თუშეთი 2015“-ს რამდენიმე თვის წინ სავაჭრო ჯიხური აჩუქა, სადაც კოოპერატივის წევრები თავიანთ მოყვანილ პროდუქციას ყიდიან. „თუშეთი 2015“-ის წევრებს ძირითადად კარტოფილისა და კიტრის მეურნეობები აქვთ. ადგილობრივ პროდუქციას გასაღების ბაზრის პოვნა არ უჭირს და ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების მფლობელები კიტრის შესაძენად წინასწარ სიაში ეწერებიან.

„კარიტასის“ დაფინანსებით კიტრის ორი სათბური მოვაწყვეთ. შარშან 900 კგ კიტრის მოსავალი მივიღეთ. გარდა ამისა, გადმოგვცეს საადრეო კარტოფილის ელიტარული ჯიშები დასათესად. ამჟამად კოოპერატივი აწარმოებს კარტოფილის სათესლე მასალას, რომელსაც ბარში ან აქვე თუშეთში ყიდის.

კოოპერატივის თავმჯდომარე მაყვალა მელაიძე ამბობს, რომ თუშეთში სასტუმროებს კარტოფილი ბარიდან ამოაქვთ, რადგან ადგილობრივი კარტოფილი მხოლოდ სექტემბრის ბოლოს მოდის. კარტოფილის სუპერსაადრეო და საადრეო ჯიშები საშუალებას მოგვცემს, ყველაზე ცხელ ტურისტულ სეზონზე მოვამარაგოთ სასტუმროები ადგილობრივი წარმოების კარტოფილით.

გარდა კოოპერატივისა, საადრეო ჯიშის კარტოფილის თესვა სხვა ოჯახებმაც დაიწყეს და კმაყოფილები არიან იმით, რომ გვალვის მიუხედავად კარგი სათესლე მასალის და სწორი აგროტექნიკის გამოყენებით უკეთესი მოსავალი მიიღეს, ვიდრე წინა წლებში ჰქონდათ.

თუშური თაფლი გაგიგონიათ? სავარაუდოდ, ბევრს არა, რადგან სულ რამდენიმე წლის წინ თუშეთში 3-4 მეფუტკრე თუ იყო, თანაც, აქაურ თაფლზე ადგილზევე ძალიან დიდი მოთხოვნაა და გარე ბაზარზე ვერ ხვდებოდა.

ონისე იჭირაულმა, რომელიც თუშეთის ეროვნული პარკის რეინჯერია და კარგად იცნობს თუშეთის პირობებს და მცენარეულობას, გადაწყვიტა დამატებით მეფუტკრეობისთვის მოეკიდა ხელი და, როდესაც „კარიტასმა“ თუშეთში ადგილობრივების დასახმარებლად ბიზნესგრანტების პროგრამა გამოაცხადა, შეიტანა განაცხადი. დღეს ონისე უკვე 15 სკის პატრონია და პირველი მოსავალიც მიიღო.

– ჩვენებური თაფლი გემოვნური თვისებებით განსხვავებულია და ძალიან მოთხოვნადია. მომავალ წელს 300 კილოგრამი თაფლის წარმოებას და ადგილობრივი სასტუმროების მომარაგებას ვგეგმავ, – გვითხრა ონისემ. გარდა ამისა, მალე სანთლისა და დინდგელის წარმოებაშიც აპირებს ძალების მოსინჯვას.

თუშეთს, გამოცდილებასთან ერთად, ახალგაზრდული შემართებაც სჭირდება – 27 წლის დათო მოზაიძე და 22 წლის გიორგი იჩუაიძე ომალოდან არიან. გიორგიმ განათლება ევროპაში მიიღო, თუმცა უკან სამშობლოში დაბრუნდა და საკუთარ მომავალს სწორედ თუშეთს უკავშირებს. ახალგაზრდები ომალოში საოჯახო სასტუმროსა და ლუდსახარშს უძღვებიან. „ლუდსახარში“ ცოტა ხნის წინ განაახლეს, ფანჩატური მოაწყვეს და სრული დატვირთვით აამუშავეს.

ლუდის ხარშვაში თუშეთში ჩასული ტურისტებიც მონაწილეობენ. ადგილზე იმართება დეგუსტაციაც. ტურისტების მსგავსად, თუშური ლუდი ჩვენც დავაგემოვნეთ და ალბათ, ამ ლუდის გემო კარგა ხანს არ დაგვავიწყდება. ტრადიციის მიხედვით, ფანჩატურს იქით ქალები არ დაიშვებიან. ტრადიციულ თუშურ დღეობებზე ე.წ. საკაცო და საქალო ლუდი ცალ-ცალკე იხდება.

წლევანდელ სეზონზე ახალგაზრდებმა 100 ლიტრამდე ლუდი გაყიდეს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია ერთი ტურისტული სეზონისთვის, რომელიც თუშეთში მხოლოდ 4 თვეს გრძელდება.

64 წლის ირაკლი ბუქვაიძეს, იგივე კაკოს თუშეთში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ. კაკო, მეუღლესთან ერთად, შენაქოს ერთადერთი მკვიდრია, ვინც მთელი წლის განმავლობაში რჩება თუშეთში. ცოლქმარი სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებული – უძღვებიან საოჯახო სასტუმროს, მოჰყავთ ბოსტნეული და კარტოფილი.

– კარტოფილი 0.4 ჰექტარზე დავთესე. მეტსაც დავთესდი, თუმცა ტექნიკის უქონლობა ხელს მიშლის. შარშან ჩემი სათესლე კარტოფილი შენაქოსა და ომალოში 2 ლარად გავყიდე. „კარიტასის“ დახმარებით ასევე შევიძინე საშრობი, რომელიც მწვანილს და სხვადასხვა მცენარეს ახმობს ისე, რომ ფერსა და სურნელს უნარჩუნებს. საკუთარ პროდუქციას მთელი წლის განმავლობაში ვყიდით, – ამბობს ირაკლი ბუქვაიძე.

თუშეთი საქართველოს მთიანი რეგიონებისთვის განვითარების მაგალითად იქცა, – ამბობს ეკატერინე მესხრიკაძე-ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის საქართველოში მისიის ხელმძღვანელი. ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩვენ ბოლო წლებში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით და ფინანსური ინტერვენციების განხორციელებით მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

– კარიტასი ისევ აგრძელებს მუშაობას რეგიონში და, იმედი გვაქვს, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში სხვა დონორებთან თანამშრომლობით უფრო მნიშვნელოვანი შედეგები გვექნება, – ამბობს ეკატერინე მესხრიკაძე.

ბიბიენი

ასტროპროგნოზი

3 ნოემბერი

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა ახალი კონტაქტებისა და რომანტიკული ურთიერთობისათვის. თავს ლაღად გრძნობთ. ** კურო** – სასიამოვნო ცვლილებებისთვის მზად იყავით. საოჯახო საქმეებს იოლად აგვარებთ. **ტყუპები** – ყოველდღიური საზრუნავი გღლით, თუმცა მაინც მხნედ ხართ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – ყოველგვარ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. გელით ძველ მეგობრებთან შეხვედრა. **ლომი** – პირად ცხოვრებაში გიმართლებთ. ახლო მეგობარი ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ. **ქალწული** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. შთაგონება გეწვევათ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საქმიან პარტნიორებთან ერთად მიიღებთ. **სასწორი** – წვრილმან უსიამოვნებებზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ. მთავარია, საქმე გულით აკეთოთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – ემოციურად დატვირთული დღეა. კრიტიკულ სიტუაციებში მოთმინება გმართებთ. **მშვილდოსანი** – ალკოჰოლს ერიდეთ. ეს დღე ახლო მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ. ნუ გადაიღლებით. **თხის რქა** – საპირისპირო სქესთან შეხვედრა ფსიქოემციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. გადაღლილი ხართ. აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **თევზები** – უმნიშვნელო წვრილმანიც კი გახარებთ. თავს მსუბუქად და დაცულად გრძნობთ. შემოქმედებითი საქმიანობა კმაყოფილებას მოგანიჭებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. ესპანეთის ლიგაში მოასპარეზე ქართველი კალათბურთელი; 4. უხეში, გაუზრდელი, ბრიყვი ადამიანი; 5. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 8. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. ფრანგი მხატვარი; 16. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი.

თარაზულად: 1. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. უბანი ძველ თბილისში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 11. ძველებური სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 13. ვარსკვლავთა კრებულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. მდინარე ტოკიოში; 17. ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი; 18. ფერადი საქარგავი ძაფი; 19. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაკხანალია; 2. მოპედი; 3. ქუთაისი; 4. ფობია; 5. ჰარვარდი; 6. ჯიხვი; 7. პალიტრა; 9. კახასა; 13. რენცი; 17. საკე; 18. რძე.

თარაზულად: 1. ბუდიზმი; 3. ქარაფი; 8. ლაზიკა; 10. ნეიმარი; 11. თალხი; 12. ბაიკალი; 14. ფაუსტი; 15. უდინეზე; 16. დასტა; 19. აქციზი; 20. სააკაძე; 21. დაგერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯოკერი; 2. ნოტი; 3. ინდონეზია; 4. გოთუა; 5. ვერსაჩე; 8. ფერაძე; 9. კალანდაძე; 12. რუტერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კამფეტი; 9. კესონი; 10. სანა; 11. ცანგალა; 13. კანოე; 15. ლუგელა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. ეროზია; 20. ლუტეცია.

დათუნა მგელაძე: „ველარ ვარჩევთ ქალსა და კაცს, ვაგინებთ ყველას და ამას ჰქვია ქართული...“

მომღერალი დათუნა მგელაძე ქართველების მიერ ერთმანეთის შეურაცხყოფას აპროტესტებს და ყველას სთხოვს, პატივისცემა გამოიჩინონ:

– რატომ დასცინით ერთმანეთს? ეს დედა მ..... თქვენ თვითონ როგორ საუბრობთ, ნეტა თქვენი თავისთვის შეგახედათ, ალბათ პირს ამოიკერავდით და ცხოვრების დეპრესიას აიკიდებდით, ისეთი კოშმარი ხდება თქვენს პირის აპარატში, მერე მეორე ეს დედის ტ..კის გინება ამ კომენტარებით... ველარ ვარჩევთ ქალს და კაცს, დიდს და პატარას, ვაგინებთ ყველას და ამას ჰქვია ქართული... გული მერევაა... ისე გავხდი 30 წლის, მამაჩემის გინება სახლში არ მახსოვს, შვილის, უმცროსის და ქალის პატივისცემა იყო მუდამ, არის და იქნება ჩემს ოჯახში. აი, ეს არის ჩემთვის ქართული მარში და არა ის, რაც ხდება...

ქვეყანაში შესაძლოა აზიური ფაროსანას ბიოლოგიური მტერი შემოიყვანონ

– სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის გადაწყვეტილებით, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მავნებლის განადგურების მეთოდებზე მუშაობაში აქტიურად ჩაერთვება, – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნულის საფუძველზე, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც აზიურ ფაროსანას ბიოლოგიური მტრის შესაძლო შემოყვანის საკითხი უნდა გამოიკვლიოს, ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილება გაიზიაროს და საქართველოს პირობებს მოარგოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანასეულში, ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრში დაიგეგმა ბიოლოგიური ლაბორატორიის მოწყობა, სადაც მეცნიერები აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებენ.

სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან გაერთიანებული და მას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ლევან უჯმაჯურიძე ხელმძღვანელობს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოსალოდნელია თუ არა ანომალიური ზამთარი წელს?

გარემოს ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ამ ეტაპზე არანაირი საფუძველი არ არსებობს მომავალი ზამთრის ანომალიურობის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად.

ასე ეხმაურება სააგენტო გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოში ანომალიურად ცივი ზამთარია მოსალოდნელი.

– ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ანომალიურად ცივი ზამთრის შესახებ. ამინდის პროგნოზის მსოფლიოს მოწინავე ცენტრები ამინდის გრძელვადიან, ე.წ. სეზონურ პროგნოზებს ამზადებენ და ავრცელებენ საპროგნოზო სეზონის დადგომამდე 10-15 დღით ადრე. ამ ტიპის პროგნოზების შესადგენად გამოიყენება როგორც რიცხვითი, ასევე ანალოგის მეთოდები. ევროპის და დასავლეთ აზიის რეგიონებში არსებული ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის სეზონური პროგნოზები დგება ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ამერიკის პროგნოსტიკული ცენტრების მოდელების საფუძველზე.

ამ ეტაპზე არანაირი საფუძველი არ არსებობს მომავალი ზამთრის ანომალიურობის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად. სხვადასხვა წყაროებით გავრცელებული პროგნოზი შესაძლოა მხოლოდ ცალკეულ მეცნიერთა ვარაუდს წარმოადგენდეს, შესაბამისად, მათი ოფიციალურ წყაროდ გამოყენება შეუძლებელია.

მიმდინარე წლის 20-23 ნოემბერს ხორვატიაში ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის ფორუმი გაიმართება, რომელშიც გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელიც მიიღებს მონაწილეობას. ამ ფორუმზე მომზადდება 2017-2018 წლის ზამთრის სეზონში მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი. საქართველოში ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ფორუმზე მიღებული ინფორმაცია განთავსდება გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე (ნეა.გოვ.გე) და გავრცელდება მასმედიის საშუალებებით. საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ გავრცელებული ამინდის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზებით, – ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში.

მერაბ მეტრეველი: „ელდარ შენგელაიამ ასეთი ცუდი ფილმი როგორ გადაიღოო...“

ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი რეჟისორ ელდარ შენგელაიას ერთ-ერთი ბოლო ფილმის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება:

– გაკვირვებულები წერენ: ელდარ შენგელაიამ ასეთი ცუდი ფილმი როგორ გადაიღოო. ზოგი ძველი სენტიმენტების გამო მაინც ცდილობს ამ ფილმში რაღაც კარგის დანახვას. მე კი ის მიკვირს, ელდარ შენგელაიასაგან უკეთესს რატომ ელოდით რამეს? მეტყვით, ხომ გადაუღია შედევრებიო. იმ შედევრების მთავარი ღირსება იდეა და დიალოგებია. არც ერთი ეკუთვნის ბატონ ელდარს და არც მეორე. ჩემთვის „შერეკილებისა“ და „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ავტორი არის რეზო გაბრიაძე და არა ელდარ შენგელაია, ხოლო „ცისფერი მთების“ – რეზო ჭეიშვილი. ბატონი ელდარის მთელი დამსახურება ქართული კინოს წინაშე ის არის, რომ კარგ სცენარებს არ აიგნორებდა და არ აფუჭებდა, ანუ თავისი ხელობა კარგად იცის, მაგრამ ფილმის ავტორად არასოდეს მივიჩნევ იმ რეჟისორს, რომელსაც თავადვე არ ეკუთვნის ფილმის იდეა.

ბატონი ელდარის ცხოვრებაში იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც კარგი სცენარი გამაზა. თავის დროზე მერაბ ელიოზიშვილმა მას მიუტანა „დიდი მწვანე ველის“ სცენარი. მათ უკვე ჰქონდათ ერთად ნამუშევარი ფილმზე „თეთრი ქარავანი“, თუმცა მან გადაღებაზე უარი თქვა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა ეს სცენარი მერაბ კოკოჩაშვილთან. ველარც კოკოჩაშვილმა შექმნა ამის მერე რაიმე ღირებული. რატომ? იმიტომ, რომ ისიც მხოლოდ ხელოსანი იყო და ვინმე შედევრს თუ არ დაუწერდა, რას გადაიღებდა?

ოთო ღურწკაია შოუს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებს

მომღერალი ოთო ღურწკაია, რომელიც ფართო საზოგადოებამ სხვადასხვა მუსიკალური შოუთი გაიცნო, პროექტს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებს:

– მოკლედ, მირეკავენ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“... მეუბნებიან:

– გამარჯობა, მე ვარ ნინი.. იმედიდან გირეკავ.

– დიახ, გამარჯობა, გისმენთ...

– მოკლედ, როგორც იცი, მთელი რუსთავი 2 გადმოვბარგდით იმედზე და ახალი პროექტი გვაქვს „ჩვენ ვართ ვარსკვლავები“.

დავდივართ ავტობუსით და მომღერლები მღერიან. ჩვენი დიდი სურვილია, რომ შენც მიიღო მონაწილეობა და გვაინტერესებს, რამდენად და როგორ შეძლებ.

– ბოდიში, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია.

– კარგი, ანუ შემდეგ ხუთშაბათისთვის არ დაგირეკოთ და „დაგიკიდოთ“? ამ დროს გაურკვევლობაში ვარ ცოტა და ჩუმად ვარ. არა, ვერ დაგიკიდებთ, ანუ არ დაგირეკოთ?

ნინი, კორექტულად საუბარს თუ ისწავლი, გპირდები, რომ ერთი თვის ულიმიტო პაკეტს გადმოგცემ ნებისმიერი აბონენტისას, იმისთვის, რომ იმათხოვრო მომღერლებთან ზრდილობიანად მაინც...

ამით კი ვრწმუნდები ასევე ამ პროექტის არაპროფესიონალიზმში, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი მეგობარი მონაწილეობს, თუმცა, მათი დამსახურება ნამდვილად არაა ეს.

თაკო გაჩეჩილაძე: „ნუ მთხოვთ მთელი საქართველოს დაბადების დღის მილოცვას ყოველდღე!“

მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე თავის გულშემატკივრებს თხოვნით მიმართავს:

– ხალხო! ნუ მთხოვთ მთელი საქართველოს დაბადების დღის მილოცვას ყოველდღე!!! როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ყოველდღე ვიღებ მილოცვის ვიდეოს, ვმღერი ჰეფი ბიორზდეის და ვულოცავ სრულიად ერს? შემეშვით ნუ! ძალიან სასაცილოა თქვენი თხოვნა!

გოგა ჩართოლანი მამა გახდა

კინომცოდნე გოგა ჩართოლანი მამა გახდა. მას და მის მეუღლე ქეთევან ღლონტს ქალიშვილი შეეძინათ.

ეს სასიხარულო ინფორმაცია გოგა ჩართოლანმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– მამა გავხდი! მადლობა ღმერთს და ჩემს მეუღლეს ქეთი ღლონტს! დაიბადა მარიამ ჩართოლანი!

გოგამ და მისმა მეუღლემ ახალშობილ მარიამთან ერთად სოციალურ ქსელში უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილები მიიღეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პროგრამა

პარასკევი
3 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15, 03.10** ტ/სერ. "**ჩენბო ვეტრინე**" **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი - წინასწარიშეკვეთის გარეშე" **13.30, 21.00** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** ქართ"დოკუმენტალისტიკა **15.00, 04.10** დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **17.15** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.35** "სპორტის დაფა" **22.00** მხ/ფ "**ანონიმი**" (ვ.რედგრეივი) **00.05** მხ/ფ "**დონი ბრასკო**" (ჯ.დეპი) **05.10** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად"

06.30, 16.00 სერ. "**ბყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ჩვენ ვარსკვლავები ვართ **00.30** მხ/ფ "**ბაუჩინარებულები**" **02.30** მხ/ფ "**პაბარა ნიკოლას არდადეგები**" **04.20** მხ/ფ მხ/ფ "**შაბი ზღვა**" **06.10** მხ/ფ "**ინგლისურის მასწავლებელი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიცას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **19** (სეზ.12) **23.00** ქერის უბანი **23.30** მხ/ფ **01.00** სერ. "**სამოგზლო**" **8** (სეზ.5) **01.00, 01.30** მხ/ფ **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ

tv ეროვნული **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.00** ავტორბოლა **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. სერ. "**ცისფერი სისხლი-4**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-4**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **13-14-15-16 17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" **20.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 5**" **21.00** სერ. "**სპირალი 5**" **22.30** მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" **01.30** მხ/ფ "**დაცემულნი**" **03.15** მხ/ფ "**პრესტიჟი**" **05.30** მხ/ფ "**შეთქმულების ისტორია**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაცვეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** მხ/ფ "**ყინულის კაცი**" **3.45** ცენზურის გარეშე

06.15 კვირიაკე **07.10** ქრისტიანული ხელოვნება "ხელთუქმნელი ხატები" **08.00** დილის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ტრაპეზი "ორაგულის რაგუ და სტაფილის სალათი" **10.25** თბილისის ტაძრები "ქვაშვეთი" **10.35** ბავშვები მუზეუმში **11.10** ერთსულოვანი ოჯახი "ბურჯალიანები" **12.05** მხ/ფ "**კრისპორდის პამხსნის მოუპარულთათვის**" **13.30** ან/ფ "პოკახონტესი" **15.05** ქართული ან/ფ **15.20** გადაცემა-ოპერა "დონ ჯოვანი" I ნაწ. **17.10** დ/ფ "სულხან-საბა ორბელიანი" **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია..."კასპი" **18.25** ჩვენი ფონდი **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **21.35** კვირიაკეს სიუჟეტი "ჟიული შარტავა" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სამების მთა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "ანზორ კავსაძე" **23.35** დეკორატიული ფლორა "ბზა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "რამოდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან" **01.30** მხ/ფ "**ბიორგოვის თვე**"

მაესტრო **10.00 - 23.30** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6106

ევრო — 3.038

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4721

100 რუსული რუბლი — 4.4928

ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისთვის

26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი
კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

მოჭადრაკე ქალებმა მეორე ადგილზე აინაცვლეს

საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ქალებმა მეხუთე ტურში 4:0 გაანადგურეს სომხეთის ქალთა ნაკრები და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე გადაინაცვლეს.

ნანა ძაგნიძემ, ბელა ხოტენაშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა და სალომე მელიამ თავიანთი მეტოქეები უშანსოდ დატოვეს.

5 ტურის შემდეგ ქალთა ჩემპიონატს ქულათა მაქსიმუმით რუსეთის გუნდი ლიდერობს. 8-8 ქულით 2-5 ადგილებს ინაწილებენ: საქართველო, უკრაინა, პოლონეთი და თურქეთი.

მეექვსე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: პოლონეთი – რუსეთი; საქართველო – უკრაინა; იტალია – თურქეთი.

ამავე ტურში ქართველი ვაჟები ისრაელთან მატჩში მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ.

დამარცხდა მიხეილ მჭედლიშვილი, ხოლო ბაადურ ჯობავამ, ლევან ფანცულაიამ და ლუკა პაიჭაძემ ყაიმი ითამაშეს.

საქართველოს ნაკრები 5 ტურის შემდეგ მე-20 ადგილზეა. შემდეგ ტურში მათი მეტოქე იტალიის ნაკრები იქნება.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მიშა გომიაშვილი: „კულტურის მინისტრი პანჩურის რტყმით უნდა გამოაგდო“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი კულტურის სამინისტრომ გაანაწყენა. ის კულტურის მინისტრისა და რამდენიმე მმართველის სამინისტროდან გამოყრის ინიციატივით გამოდის:

– აი, ეს არის ჩვენი კულტურის სამინისტრო... აი, ამ სამინისტროდან, რამდენიმე მმართველის გამოკლებით, რიგით თანამშრომლებს ეს არ ეხება, მინისტრის თამადობით უნდა გამოყარო ყველა უკანალში პანჩურის რტყმით, დააყენო სამინისტროს წინ, საჯაროდ ჩახადო, ცოცხებით გატყიპო და ისე გაყარო სამინისტროდან!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ფერნანდო ტორესი შესაძლოა ჩინეთში წავიდეს

მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი შესაძლოა ჩინურ გუნდში გადავიდეს სათამაშოს. ტორესი, რომელიც 33 წლის არის, უკვე აღარ განიხილება ატლეტიკოში ძირითადი შემადგენლობის წევრად, ამიტომ მისი ამ გუნდიდან წასვლა საკმაოდ რეალურია.

ჩინეთში ფერნანდოს რამდენიმე გუნდი ეპატიჟება. გარდა ამისა, მას ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იწვევენ.

ტორესი, სავარაუდოდ, ამ სეზონს ატლეტიკოში ჩაამთავრებს, შემდეგ კი მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი მომავალი გუნდის შესახებ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ნაბახუსევზე მყოფი კაცი მაღაზიაში შევარდება, ლუდს იყიდის, გახსნის და იტყვის:

– ამით იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც ცოლისდასთან საქმე არ ჰქონია, – თქვა და ლუდი მოიყუდა.

გამყიდველი იცინის.

– რა გაცინებს?

– ის მაცინებს, რომ წეღან შენი ქვისლი იყო და იმანაც ეგ თქვა.

●●●

ცოლი ქმარს აღვიძებს:

– კაცო, გაიღვიძე, მგონი, ჩვენს ეზოში ქურდები შემოვიდნენ...

– მერე მე რას მაღვიძებ, ფანჯარაში გაყავი თავი, იფიქრებენ, სახლში ავი ძაღლი ჰყავთო და გაიქცევიან...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ბავშვებს რომ დავაძინებ, დავიყეფებ და შემოდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყეფის ხმა გაისმა.

– მამი, დროზე მიდი და გააჩუმე, სანამ ყველა არ გაუღვიძებია, – გამოსძახა უფროსმა შვილმა.

●●●

მასწავლებელმა მოსწავლეს დღიურში ჩაუწერა:

„გაკვეთილებზე სულ ლაქლაქებს!“

მეორე დღეს სკოლაში მისული მოსწავლის დღიური გადაშალა და კითხულობს:

„შენ ამის დედა უნდა ნახო!“

●●●

ცოლი ქმარს აღვიძებს:

– ადე, კაცო, მელამ ქათმები წაიღო.

– რამდენი?

– რვა.

– ჩანთით იყო მოსული, ეგ შობელძაღლი???

●●●

ცოლ-ქმარი სტუმრად წასასვლელად ემზადებიან. ქალი სარკის წინ დგას და იპრანჭება, მერე მოტრიალდება და ქმარს ეკითხება:

– როგორ გამოვიყურები?

– როგორც ყოველთვის, მაგრამ არა უშავს, მალე დაბნელდება.

●●●

კაცმა ლატარიაში დიდი ფული მოიგო, სახლში მივიდა და ცოლს ეუბნება:

– ლატარიაში ბევრი ფული მოვიგე და ჩანთები ჩაალაგე.

– უი, მართლა, დასასვენებლად მივდივართ?

– დასასვენებლად კი არა, დაახვიე აქედან!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 ნოემბრიდან

გაბრიელ ტანიე
ქანაანის შვილები

დათო ტურაშვილი ასე აფასებს გაბრიელ ტანიეს და მის „ქანაანის შვილებს“:

– ამ წიგნის ავტორს ახალგაზრდობაში შევხვდი. მაშინ მას სოსო გაჩავა ერქვა. მან თვითონ გააკეთა არჩევანი და სასულიერო პირი გახდა. წლების შემდეგ უკვე ფშავში ვნახე, ჩარგალში მოღვაწეობდა. ხევსურეთში იმ ზაფხულს ისეთი სიტყვები მოვისმინე ხევსურებისგან, სულაც არ მიკვირს ამ წიგნის ყდაზე მისი ხევსურული ფსევდონიმი. ტანიე პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს.

მამა იოსების ეს წიგნი სიყვარულისთვის დაწერილი რომანია და ამ წიგნის მკითხველებსაც დიდი სიამოვნება ელით“.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

კრიშტიანო რონალდუმ მსაჯები გააკრიტიკა

მადრიდის რეალის ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ ტოტენჰემმა პირველი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა და მსაჯს ის გოლი არ უნდა ჩაეთვალა. გარდა ამისა, რონალდუმ ასევე აღნიშნა, რომ ჟირონასთან შეხვედრის დროსაც მსაჯებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს რეალის საწინააღმდეგოდ.

– ტოტენჰემმა გვაჯობა, მაგრამ პირველი გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. ჟირონამ გადამწყვეტი გოლი ასევე თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანა. იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება და რეალი თავის თამაშს იპოვის, – განაცხადა რონალდუმ.

ტოტენჰემმა რეალი 3:1 დაამარცხა და თავის ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

დავით ხოჭოლავა შახტარის მწვრთნელმა შეაქო

დონეცკის შახტარის ქართველმა ფეხბურთელმა დავით ხოჭოლავამ ფეინოორდის წინააღმდეგ მოედანზე 90 წუთი დაჰყო და მატჩის შემდეგ მწვრთნელისგან შექებაც დაიმსახურა.

ფონსეკას თქმით, ხოჭოლავამ ზუსტად შეასრულა მისი მითითებები და თითქმის შეცდომა არ დაუშვია. აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი სწორედ ფეინოორდმა გაიტანა, მაგრამ უკრაინელებმა სამჯერ შეძლეს მეტოქე გუნდის კარის დალაშქვრა და საბოლოოდ 3:1 დამსახურებულად მოიგეს.

4 ტურის შემდეგ შახტარი 9 ქულით ჯგუფში მეორე ადგილს იკავებს და შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსები აქვს.



ბაიერნს ალექსის სანჩესის ყიდვა ისევ სურს

ბაიერნი ზამთარში კვლავ ეცდება არსენალის ფორვარდ ალექსის სანჩესის შეძენას, რომელიც ლონდონურ კლუბს, სავარაუდოდ, იანვარში დატოვებს.

ზაფხულში მიუნხენელებს ჰქონდათ რამდენიმე მცდელობა, მაგრამ არსენალმა სანჩესი არ გაუშვა და ამით ფეხბურთელის უკმაყოფილებაც გამოიწვია, რადგან ალექსისი არ მალავს, რომ კარიერის გაგრძელება სხვა გუნდში სურს.

სანჩესით ასევე დაინტერესებულია მანჩესტერ სიტიც, ამიტომ შესაძლოა ალექსისი ინგლისში დარჩეს.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს გასატეხად; 2. ფრანგული ოპერეტის ფუძემდებელი; 3. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. ხრახნული კონვეიერი; 7. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი; 9. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 13. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი.

თარაზულად: 1. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 3. ქართული სუფრის ხელმძღვანელი; 8. მდინარე ჩინეთში; 10. მსხვილი საჯარო შენაერთი; 11. კლოუნის ნომერი, გამოსვლა ცირკში; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. პეკინის მეორე სახელწოდება; 16. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 19. ვულკანი იტალიაში; 20. მხარე გერმანიაში; 21. დამჟავებული ბოსტნეული.

შეადგინა: თ.კოპალეიშვილმა